ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

!& 2 !* vfbcb7 @)!$ 1115 (6426) afcb5 #) stshb

14 მაისიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

საოჯახო სამზარეულო ნჯვბ (

@ კფჰბ ლფ ^) სჭსჰბ






## სოზარ სუბარი: თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება სამჯერ დავწერე“

გვ.4

რატომ დასაქმდნენ მის უწყებაში ჯონდერები

## ირაკლი ღარიბაშვილს 2 000 ლარით დააჯარიმებენ



გვ.3

რას ითხოვს „არასაპარლამენტო ოპოზიცია“



## გელა ნიკოლაიშვილი: 2 დღის წინ მოსასმენი აპარატურა ჩვენს ოფისში აღმოაჩინეს“



გვ.2

რა პრეტენზიები აქვს სოზარ სუბართან ადვოკატს

## ლანა ღოღობერიძე: ჩვენ რომ ევროპის წევრი ვხდებით, ეს ბედისწერაა თუ ჩვენი ისტორიული მიდრეკილება?“

გვ.6





გვ.4

## ადა მარშანია: საზოგადოებამ ხელისუფლებას თავისი ძალა უნდა აჩვენოს“

ISSN 1987-9385



## სოფიო ხორგუანი: ადეიშვილი ერთ ღამეში წერდა კანონს და მეორე დღეს ის უკვე ძალაში იყო“

გვ.5

მენტალურად უნდა შევიცვალოთ, რომ ქვევიდან ზევით არ ვუყუროთ მინისტრებს

# გელა ნიკოლაიშვილი: 2 დღის წინ მოსასმენი აპარატურა ჩვენს ოფისშიც აღმოაჩინეს“

## რა პრეტენზიები აქვს სოზარ სუბართან ადვოკატს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, როგორც ადვოკატი, რა ინფორმაციებს ფლობთ, რა ხდება დღეს სასჯელაღსრულების სისტემაში? მინისტრის მისამართით ხშირია საყვედურები, სახალხო დამცველიც უპირისპირდება სოზარ სუბარს...***

— მე ვფიქრობ, ამ საყვედურებიდან საკმაოდ დიდი ნაწილი არის საფუძველს მოკლებული, თუმცა არის რაღაცა ნაწილი საყვედურებისა და პრეტენზიებისა, რომლებიც შეიძლება საფუძვლიანად ჩაითვალოს. მაგალითად, ის, რომ ამხელა პრემიები იქნა დარიგებული. ეს არის მართლაც არანორმალური თანხები. მე მგონი, ამერიკის პრეზიდენტი არ იღებს ყოველთვიურად ამდენ თანხას. მე მგონი კი არა, ნამდვილად არ იღებს ხელფასის სახით, დოლარებში რომ გადავიყვანოთ. ასევე თუ მოხდა ის ფაქტიც, რაზეც ლაპარაკი იყო სახალხო დამცველის მოხსენებაში და, სავარაუდოდ, მოხდა, რადგან ამის მოგონება არ შეიძლება. საერთოდ, მეშვიდე საპყრობილეში, სხვა დაწესებულებებთან შედარებით, უფრო გამკაცრებულია სიტუაცია, თუმცა მე შემიძლია ვთქვა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ. ასეთი სიმკაცრე და დამოკიდებულება, მით უმეტეს სახალხო დამცველების მიმართ, რომლებსაც კანონი აძლევს უფლებას, რომ უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდეთ ადვოკატებთან ან სხვა პირებთან შედარებით, რომლებსაც იქ შესვლის უფლება აქვთ, ეს უნდა გააცნობიერონ და უნდა შეისწავლონ დაწესებულების თანამშრომლებმა და უნდა იცოდნენ ეს, რომ მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს აქვთ უფლება, დაუბრკოლებლივ შევიდნენ საკნებში, თორემ ვერც ერთი ადვოკატი საკნებში ვერ შევა. სპეციალურ ოთახში ხვდება ადვოკატი თავის დასაცავ პირს. ახლა რაც შეეხება დანარჩენ პრეტენზიებს, რომლებიც მე მესმის, ამ ორი მომენტის გარდა, მაინცდამაინც საფუძვლიანი პრეტენზია არ მომისმენია. ისიც ფაქტია, რომ, რა თქმა უნდა, შედარება არ არის იმასთან, რაც იყო ადამიანური პირობების თვალსაზრისით, ადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით და ხშირად ისეთ შემთხვევებსაც ვხვდებით, როდესაც, პირიქით, ადამიანური მოპყრობის გამო, ზოგიერთი პატიმრის მხრიდან ადგილი აქვს შეურაცხყოფასა და არასათანადო დამოკიდებულებას ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ. ისე რომ, ზოგადი ლაპარაკი არ იქნება სწორი, რომ ზოგადად ყველაფერში გაუმჯობესდა, ან ყველაფერში გაუარესდა. უმრავლეს კომპონენტებში, ეს სამედიცინო დაწესებულება იქნება, პაემნები იქნება თუ კვება იქნება, აქ ძირითადად გაუმჯობესებულია სიტუაცია და არ შეიძლება ამაზე თვალის დახუჭვა და ამის არ აღნიშვნა, თუმცა ის ცალკეული სიტუაციები, რომელსაც აქვს ხოლმე ადგილი და რომელიც პატიმრის სიცოცხლის მოსპობითაც თავდება, რა თქმა უნდა, საგანგაშოა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე და თუნდაც ისეთ შემთხვევაზე, რაზეც სახალხო დამცველმა გაამახვილა ყურადღება, რაც ითქვა პრემიებთან დაკავშირებით, აუცილებლად და სასწრაფო და ადეკვატური რეაგირებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში სიტუაცია გაიქცევა ხელიდან.

***— რაც შეეხება იმ ინფორმაციებს, რომელიც ლალი მოროშკინამ გაავრცელა?***

— ეს ინფორმაციებიც აუცილებლად გადასამოწმებელია. თუ მართლა ასეა, რომ ზონდერების რაღაცა ნაწილი მართლაც მუშაობს იქ, ესეც საერთოდ დაუშვებელია. როგორც მინიმუმ, ისინი იქ არ უნდა მუშაობდნენ და, თუ სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, პასუხი უნდა აგონ. ასე რომ, ერთსახოვნად მიდგომა ამ პრობლემებისადმი არ შეიძლება. მთავარია, რომ მართვის ის არაადამიანური სტილი, რომელიც იყო დანერგილი, ის სადისტური მეთოდები, ეს არ არის. ცალკეული გამოვლინებები სადაც არის, ის მაშინვე უნდა აღმოიფხვრეს და აუცილებლად ადეკვატური რეაგირება უნდა მოხდეს.



***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად დადგება მართლაც სოზარ სუბარის მოხსნის საკითხი? დღეს ამაზე აქტიურად მიდის საუბარი...***

— ერთადერთი, რაც ზოგადად შეიძლება პრეტენზია წაუყენო დღევანდელ მინისტრს, შეიძლება ის იყოს, რომ ნაკლებად ერევა დეპარტამენტის საქმიანობაში. ის თვლის, რომ ზედმეტი ჩარევა გარედან, იმ პროფესიონალების საქმიანობაში, რომლებსაც ყოველდღიური შეხება აქვთ ამ პატიმრებთან და ყველა დეტალი იციან იმ პრობლემების, რომლებიც არსებობს, გარედან ჩარევა შეიძლება იყოს არაკომპეტენტური. შეიძლება მინისტრია, მაგრამ ის მაინც გარეშე პირია, ყოველდღიურად შიგნით არ იხედება და ეს ყველაფერი მინდობილი აქვს დეპარტამენტისთვის. თავად დეპარტამენტსაც, არ ვიცი, ეს კანონიერად ხდება თუ კანონის გადაჭარბებით, საკმაოდ დიდი ავტონომია აქვს მინისტრისგან და დამოუკიდებლად მართავს. ახლა რამდენად შეიძლება ეს იყოს სოზარ სუბარის გათავისუფლების მოთხოვნის საფუძველი, მე მგონია, რომ ეს არ არის საკმარისი საფუძველი. იმ პლუსებთან მიმართებით თუ დავდებთ სასწორზე, რაც რეალურად განხორციელდა სასჯელაღსრულების სისტემაში, მე არ ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში სწორი იყოს სოზარ სუბარის გათავისუფლების მოთხოვნა. შესაძლოა, უფრო მეტად იყოს აქცენტი გაკეთებული თვითონ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლაზე, იქიდან გამომდინარე, რაც გაჟღერდა. პირველ რიგში ამ პრემიებსა და იმ ზონდერებს ვგულისხმობ. კიდევ ვიმეორებ, ეს ყველაფერი არის გადასამოწმებელი, შესასწავლი. თუ დადასტურდება ეს ინფორმაციები, აქ შეიძლება უფრო მეტი საფუძველი იყოს დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლაზე სალაპარაკოდ. მოკლედ თუ ვიტყვით, მე არ მგონია სამართლიანი სოზარ სუბარის გადაყენების მოთხოვნა და, თუ დადასტურდა ის, რასაც ამბობენ დეპარტამენტზე, ამ შემთხვევაში სამართლიანი და საფუძვლიანი იქნება საუბარი დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლაზე.

***— ბატონო გელა, რაც შეეხება მოსმენების თემას, საკმაოდ შეშფოთებულია საზოგადოება. რამდენად გრძელდება წინა ხელისუფლების სენი და რამდენად მიმდინარეობს ასე ტოტალური მოსმენები და პირადი ცხოვრების თვალთვალი?***

— მე ვფიქრობ, რომ თვითონ ის ფაქტი, რომ ამ მოსმენების შესაძლებლობა ისევ აქვთ სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს, ისევე, როგორც სამი და ხუთი წლის წინათ ჰქონდათ, ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ სიტუაცია არის შესაცვლელი და არსებული სიტუაცია არის მოუთმენელი. იმიტომ რომ ჩვენ, საზოგადოება, ვერ დავრჩებით იმის იმედად, რომ თუ ასეთი უკონტროლო მოსმენების შესაძლებლობა არსებობს, რომ ვიღაცა კარგი ბიჭია და ვიღაცა წესიერია და ვიღაცა უწესო და ეს წესიერები არ მოისმენენ. თვითონ არ უნდა არსებობდეს შესაძლებლობა ამისი, თვითონ მექანიზმი უნდა იყოს, სისტემაზე უნდა იყოს დამყარებული გარანტიები, რომ უკანონოდ ვერ მოუსმენენ და არა კარგ ადამიანზე, წესიერ ადამიანზე ან უწესო ადამიანზე. ეს სისტემა დღეს ისევ ძალაშია და ამიტომ არის საჭირო და ამიტომ ხდება დღესაც პარლამენტში განხილვა, რომ როგორმე მოხდეს ამ სისტემის დემონტაჟი. მაკონტროლებელი სისტემა უნდა შეიქმნას, რომ პოლიციას არ ჰქონდეს შესაძლებლობა, უკონტროლოდ, ყოველგვარი კონტროლის მექანიზმების გარეშე მოახდინონ მათ მოსმენები და ამის შესაძლებლობა რომ არსებობს, ამას დღეს ყველა აღიარებს, ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, არასამთავრობოებიც. აი ეს უნდა შეიცვალოს. თუმცა კიდევ არსებობს ერთი მექანიზმი, სასამართლოს საშუალებით დღეს ნებიერი უკანონო მოსმენა იქნეს დაკანონებული. ანუ გაპრავდეს.

***— როგორ ხდება ეს?***

— თუ როგორ ხდება, ამ მექანიზმსაც ახლავე აგიხსნით. არსებობს ე.წ. მორიგე საქმე. მე ამას წავაწყდი ირაკლი ბათიაშვილის საქმესთან დაკავშირებით, როდესაც ვიყავი მისი ადვოკატი, უცებ საქმეში ვნახე, რომ ფარული მოსმენა მიმდინარეობდა ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის ტელეფონზე. აღმოჩნდა, რომ ამ ცნობილი პოლიტიკოსის ტელეფონზე მოსმენის ბრძანება გაცემული აქვს ერთ-ერთ მოსამართლეს ოფიციალურად, ოღონდ კავშირი საერთოდ არა აქვს არც კვიციანისა და არც ბათიაშვილის საუბართან. საერთოდ ირაკლი ბათიაშვილთან შეხება არა აქვს. რომელიღაც სხვა საქმეზე, ძველ საქმეზე, რომელიც რამდენიმე წლის წინანდელი იყო, აი, იმ საქმეს ვიძიებთ, იმ საქმეზე დაფიქსირდა ამისი ტელეფონი და გთხოვთ, მოგვეცეთ უფლება, მოვუსმინოთ ამ ტელეფონსო. მოსამართლემ თქვა, რომ მე შევისწავლე ეს მასალები და ჩავთვალე, რომ ეს არის საფუძვლიანი მოთხოვნა ანუ არსებობს ე.წ. მორიგე საქმეები, ძირითადად ეს არის ძველი საქმეები, ან გაუხსნელი, ან დაუსრულებელი და ძალიან ადვილია, ჩვენ ამ საქმეებს წლების მანძილზე ვიძიებთ, უცებ ამოვარდა იმის ტელეფონი, ვისი მოსმენაც უნდათ და არც კი მიუთითებენ, ვის ეკუთვნის ის ტელეფონი, ისე მიმართავენ მოსამართლეს — გთხოვთ, დაგვიკანონოთ. მოსამართლეც ახლა ფაქტიურად რომ ამბობს, შევისწავლეო, არც კი კითხულობს ის მოსამართლე, აბა, რა საფუძველი გაქვთ, რა საუბარი აღმოაჩინეთ, ვისთან, როდის, რა თქვა ამ კაცმა... არაფერი, უბრალოდ, ორი სიტყვით წერს, რომ შევისწავლე მისი საქმიანობა, მივიჩნიე, რომ დასაბუთებულია და ამით მორჩა. ფაქტიურად, ხდება უკანონო მოსმენა, ოღონდ დაკანონებულად. აი, ეს საფრთხეც არსებობს, რომ რეალურად უკანონო მოსმენები აღმოიფხვრას, მაგრამ ამ შემოვლითი გზით უკანონო მოსმენები გახდეს კანონიერი. ე.წ. მორიგე საქმეების საშუალებით.

***— ბატონო გელა, ის, რაც მოხდა „რუსთავი 2“-ში, ნაციონალების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია იყო თუ რეალურად მოხდა?***

— მე არც ერთს არ გამოვრიცხავ. მთავარი არის აქ ერთი, არსებობს თუ არა ტექნიკური საშუალება, რომლითაც შესაძლებელია გარეშე პირმა, პოლიციის გარეშე მყოფმა პირებმა, კერძო პირებმა, ჯგუფებმა, ორგანიზაციებმა, მოახდინონ ასეთი მოსმენები. როდესაც ერთ-ერთ გამოსვლაში ირმა ნადირაშვილმა თქვა, დამისახელეთ ერთი ისეთი ქვეყანა, სადაც ოპოზიცია უსმენს ხელისუფლებასო, მე მაშინვე გამახსენდა ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის საუბარი, ფარული ჩანაწერი, რომელიც მოვისმინეთ ამ ჯაშუშებთან დაკავშირებით. მაშინ ვანო მერაბიშვილიც და მიხეილ სააკაშვილიც — ორივე ხელისუფლებაში იყო და მათაც ვიღაცა უსმენდა. აქედან დავასკვენი, რომ ტექნიკური შესაძლებლობები ამისი არსებობს, რომ მოისმინონ და, თუ ასეთი შესაძლებლობები არსებობს, მაშინ ეს ტექნიკა ვის ხელშიც არის, იქნება ეს, ვთქვათ, ამერიკა, რუსეთი თუ ნაციონალური მოძრაობა თუ ვიღაცა კერძო პირი, ე.ი. აქვთ მათ ეს შესაძლებლობა და ძალიან ძნელია ახლა კონკრეტულად ან გამორიცხო, ან ხელი დაადო, ვის შეუძლია მოისმინოს. ვის ხელშიც არის ასეთი ტექნიკური შესაძლებლობა, მას შეუძლია. ერთი მხრივ, ხელისუფლების ხელში არის, ეს ვიცით, მაგრამ, მეორე მხრივ, იმ მაგალითიდან გამომდინარე, რაც მე გითხარით, თურმე შესაძლებელია სხვა პირების ხელშიც იყოს და სხვა ორგანიზაციების. შეიძლება სულაც სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები უსმენდნენ და მათ ინტერესში შეიძლება იყოს, რომ რაღაცა დესტაბილიზაცია მოაწყონ ქვეყანაში, შემდეგ გამოაგდონ ეს თემა ვიღაცის საშუალებით, ვთქვათ ნაციონალურ მოძრაობას მისცენ, „რუსთავი 2“-ს ან სხვა ნებისმიერ ტელევიზიას, ან უბრალოდ ატვირთონ იუთუბზე და ჩვენ ვერასოდეს გავიგოთ, საიდან მოდის ეს. ასე რომ, ამის დადგენა ძალიან რთულია, პრაქტიკულად, შეუძლებელია... თურმე ქვეყნის მეთაურების მოსმენა ხერხდება და რა გასაკვირია, რომ ახლა რიგითი მოქალაქეების ან თუნდაც მაღალი თანამდებობის პირების მოსმენა მიმდინარეობდეს. ყველაფრის სათავე არის ის, რომ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არსებობს.

***— გამოდის, რომ დაუცველია ამისგან საზოგადოება და არც არანაირი ბერკეტი არ არსებობს ამის საწინააღმდეგო...***

— დაუცველია საზოგადოება, გეთანხმებით, იმიტომ რომ ტექნიკური პროგრესი არის ძალიან წინ წასული, უბრალოდ, იმას უნდა დაცვა, იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომელიც არსებობს და არ უნდა ჩავარდეს რიგითი ადამიანის ხელში, ან ისეთი ადამიანის თუ ჯგუფების ხელში, ვისაც ეს კანონით ეკრძალებათ, ისევე, როგორც ატომური ბომბი არ შეიძლება ჩავარდეს რიგითი ადამიანებისა თუ ავანტიურების ხელში. ის მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაა. ეს არანაკლებ საშიშია თავისი საბოლოო შედეგების თვალსაზრისით, თითოეული ადამიანის პირად ცხოვრებასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ტექნიკური პროგრესის გამო მივადექით იმ ზღვარს, როდესაც რაღაცა კონტრმეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, იმიტომ რომ ყველა ვირუსს აქვს ანტივირუსი ანუ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ რაღაცა ტექნიკურად დამცავი საშუალებები იქნეს გამოგონებული. ისე, ვისაც როდის უნდა, მაშინ გამოაგდებს ამ თემას, მით უმეტეს მაშინ, როცა საზოგადოება ასე მარტივად ეგება ამ პროვოკაციაზე და ადვილია ამით საზოგადოების მანიპულირება.

***— ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ არჩევნების წინ ვიღაცას დასჭირდა ხელისუფლების დისკრედიტაცია?***

— რა თქმა უნდა, ესეც სავსებით შესაძლებელია. ასე რომ, კონკრეტული გადამჭრელი პასუხი ამაზე მე, პირადად, არა მაქვს და ძალიან ვეჭვობ, რომ ვინმეს ჰქონდეს, თუ ვისია და ვინ ჩაიწერა ეს ფარული ჩანაწერები. ის კი არა, გუშინ ჩვენს ოფისშიც აღმოვაჩინეთ — არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებისათვის“, ჩვენმა თანამშრომელმა აღმოაჩინა ჭერში რაღაცა საეჭვო შავი წერტილი. მე იმ დროს იქ არ ვიყავი, პროცესზე ვიყავი და როდესაც გამოუძახებიათ პოლიცია, ძალიან საეჭვო პლასტმასის მოწყობილობა ამოუღიათ. ოთხი საათი ნანა კაკაბაძე დაკითხვაზე იმყოფებოდა და საიდან და როგორ, ეს არის გასარკვევი.

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ირაკლი ღარიბაშვილს 2 000 ლარით დააჯარიმებენ

## რას ითხოვს „არასაპარლამენტო ოპოზიცია“

შორენა მარსაგიშვილი

პოლიტიკური პარტიები თუ გაერთიანებები თვითმმართველობის არჩევნების მოსაგებად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან. გუშინ ამ ბრძოლაში „არასაპარლამენტო ოპოზიციაც“ ჩაერთო. გუშინ მათ საარჩევნო სია და მაჟორიტარებიც წარადგინეს. ამით არ დაკმაყოფილდნენ და პრემიერსაც შეუტიეს. მათი წყალობით ირაკლი ღარიბაშვილი 2000 ლარით დაჯარიმდება.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ საჩივარი განიხილეს. საკითხი შეეხებოდა 22 აპრილს მთავრობის კანცელარიაში გამართულ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს სხდომას, სადაც მმართველი პარტიის წევრები და მთავრობის მეთაური ღარიბაშვილი საარჩევნო საკითხებს, სავარაუდო კანდიდატებსა და პარტიულ სიას განიხილავდნენ.

კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული შენობა (ამ შემთხვევაში მთავრობის კანცელარია) არ შეიძლება გამოყენებული იყოს ერთი კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მხრიდან წარდგენილ იქნა უტყუარი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ პრემიერ-მინისტრის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერ გამოყენებას.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ საჩივარი და მიიღო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის გადაწყვეტილება.



— ეს არის მნიშვნელოვანი პრეცედენტი, როდესაც ცესკო ადასტურებს, რომ მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირი კანონდარღვევით აწარმოებს მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიას და იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. იმედი გვაქვს, ცესკოს გადაწყვეტილების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილს ეცოდინება, სად არის მისი პარტიის ოფისი და სად — მთავრობის კანცელარია. — წერია „არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღნიშნულმა გაერთიანებამ გუშინ თავისუფლების მოედანზე, საკრებულოს შენობის წინ, დედაქალაქის საკრებულოს წევრობის კანდიდატები და თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა.

საკრებულოს წევრობის კანდიდატების პარტიული სია ასეთია: 1. მამუკა კაციტაძე; 2. ალექსანდრე შალამბერიძე; 3. მანანა ნაჭყებია; 4. ვასილ ჭიჭინაძე;

5. ლაშა ჩხარტიშვილი; 6. ლევან კალანდაძე; 7. გიორგი ასათიანი; 8. ნინო ბორჩხაძე;

9. გიორგი ლორთქიფანიძე; 10. ქეთევან კანდელაკი; 11. რუსუდან გურჩიანი; 12. თენგიზ ომანიძე; 13. გიორგი თავდგირიძე; 14. ვახტანგ ჟორდანია; 15. ნინო ანდღულაძე.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მაჟორიტარი კანდიდატების სია კი ასეთია: მთაწმინდა — ნინო ბორჩხაძე; ვაკე — ალექსანდრე შალამბერიძე; დელისი — ლაშა ჩხარტიშვილი, დიდი დიღომი — მამუკა კაციტაძე; საბურთალო — ლევან გვარჯალაძე; კრწანისი — ერემია ბერიშვილი; ავლაბარი — როლანდ ბერიძე; ნავთლუღი — ვახტანგ ჟორდანია; ვაზისუბანი — თამარ ცატავა; ვარკეთილი — დოდო ჭელიძე; მესამე მასივი — გიორგი მახარაძე; ლილო — მირიან რთველიაშვილი; აფრიკა — გიორგი ბეგიაშვილი; ჩუღურეთი — დავით შვანგირაძე; დიდუბე — მანანა ნაჭყებია; დიღმის მასივი — გიორგი თავდგირიძე; ლოტკინი — ფრიდონ ჩიღუნაძე; ნაძალადევი — ნინო სირბილაძე; სანზონა — გელა კეტაშვილი; თემქა — ნინო შანიძე; ავჭალა — ნინო ავსაჯანიშვილი; გლდანი ლუწები — მირზა კოჩაძე; გლდანი კენტები — ლევან კალანდაძე და მუხიანი — ავთო სულაქველიძე.



ვეძისში კი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ მხარს ალექსანდრე ელისაშვილს უჭერს. კანდიდატები „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კუკავამ და არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ წარადგინეს.

„არასაპარლამენტო ოპოზიცია“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებაში დარწმუნებულია. როგორც მათმა მერობის კანდიდატმა კახა კუკავამ ჟურნალისტებს განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მის ძალას არ აქვს ოპონენტების მსგავსი ფინანსური რესურსი, კანდიდატების გამოცდილებიდან გამომდინარე, ისინი მაინც მოახერხებენ არჩევნებში გამარჯვებას.

— საზოგადოება მინდა კარგად დაუკვირდეს, რომელ სიაში რომელი კანდიდატები არიან წარმოდგენილი. ჩვენს სიაში არიან ადამიანები, რომლებიც გასული 10 წლის მანძილზე იბრძოდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და, ვფიქრობ, რომ ისინი დამსახურებულად არიან წარდგენილნი თბილისში საკრებულოს კანდიდატებად. სხვა სიებში რთულია ასეთი ადამიანების პოვნა და ძირითადად ვხდებით პარტიული თუ ნათესაური კვოტებით წარმოდგენილ ადამიანებს. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს ჩვენი ოპონენტების მსგავსი ფინანსური რესურსი, ვფიქრობ, გვაქვს დიდი უპირატესობა, როგორც მაჟორიტარ კანდიდატებში, ისე თბილისის საკრებულოს სიის შემადგენლობაში, ჩვენი კანდიდატების პროფესიული თვისებებისა და გამოცდილების მიხედვით. — განაცხადა კუკავამ.

შორენა მარსაგიშვილი

# საპატრიარქო ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდებს

## რას აპირებს შსს

დღეს, 17 მაისს, სრულიად საქართველო რუსთაველის გამზირს იქნება მიჩერებული. ბოროტი ხმები დღეს დიდ არეულობას წინასწარმეტყველებენ. 17 მაისს მსოფლიოს ქვეყნებში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე აღინიშნება, საქართველოში მრევლი და სასულიერო პირები ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღესასწაულს იზეიმებენ.

17 მაისს მსოფლიოში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს 2004 წლიდან აღნიშნავენ. 2013 წელს, მაშინ, როდესაც უფლებადამცველებსა და ლგბტ აქტივისტებს თბილისში ღონისძიების ჩატარების საშუალება არ მიეცათ, მსგავსი აქცია მსოფლიოს 120 ქვეყანაში ჩატარდა. 17 მაისი არის დღე, როდესაც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია დაავადებათა კლასიფიკაციიდან ამოიღო. ეს მოხდა 1990 წელს.

რაც შეეხება მშობლების პატივისცემის დღესასწაულს, ეს დღე ერთი კვირის წინ საქართველოს პატრიარქის ინიციატივით დაწესდა. ერის ნაწილი ამას აღფრთოვანებით შეხვდა, ნაწილიც აღშფოთებით. ეს უკანასკნელნი პატრიარქის ყველა ინიციატივას რატომღაც საგანგაშოდ მიიჩნევენ.

17 მაისთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

— როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების დღედ გამოცხადდა. ამ დღეს საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში 12 საათზე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისი აღევლინება, რათა დედა ღვთისამ თავისი მფარველი კალთა გადააფაროს ჩვენს ოჯახებს. შემდეგ კი ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიების და ქუჩების კურთხევა მოხდება.

წმინდა სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გადაიხდის, სადაც 12 საათიდან დღის ბოლომდე დაბრძანებული იქნება ჩვენი ერის განსაკუთრებული სიწმიდეები: ღვთისმშობლის მიერ ბოძებული წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი და წმინდა დავით გარეჯელის მადლის ქვა, რათა, როგორც მთელ ოჯახებს, ისე ცალკეულ ადამიანებს, მიეცეთ შესაძლებლობა, ემთხვიონ მათ და მათი მადლით დაილოცონ.

მისი უწმინდესობის კურთხევაა, ამ დღის აღსანიშნავად ტრადიციად დადგინდეს, რომ მშობლებმა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებით დალოცონ თავიანთი შვილები თითოეული ცალ-ცალკე, ხოლო შვილებმა მშობლებს საჩუქრები მიართვან და ტაძარში სანთლები დაუნთონ. მისი უწმინდესობა კი, როგორც ერის სულიერი მამა, პარაკლისის შემდეგ სპეციალურ ლოცვას წაიკითხავს და ყველა მორწმუნეს — მშობლებსაც და შვილებსაც დალოცავს.

იმავეს აღასრულებენ მღვდელმთავრები და სასულიერო პირები თავიანთ ეპარქიებში.

ოჯახის სიწმინდე და სიმტკიცე სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველია. ოჯახის სიწმინდის ხელყოფა და არაბუნებრივი და გაუკუღმართებული ურთიერთობების ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადება, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის, განურჩევლად აღმსარებლობისა, სრულიად მიუღებელია. რა თქმა უნდა, იგი მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისათვისაც.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესია ებრძვის თუნდაც ამ ცოდვით დაზიანებულ ადამიანს, პირიქით, იგი მისთვის ზრუნავს და მისი გამოსწორებისათვის იღვწის.

ეკლესია ამხელს და ებრძვის თავად ცოდვას, მის საჯარო პროპაგანდას, რადგან ასეთი დამოკიდებულება მეტად განარისხებს უფალს და ღვთის დიდ სასჯელს იწვევს; ამიტომაც ცდილობს ჩვენი ეკლესია, დაიცვას ერი უზნეობის დაკანონებისა და სულიერი ძალადობისაგან.

შევნიშნავთ იმასაც, რომ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მორწმუნეთა გარკვეული ჯგუფები და საერთოდ, საზოგადოების ნაწილი ამ დღესთან დაკავშირებით ქუჩაში მსვლელობებს აპირებენ; საქართველოს საპატრიარქო პატივისცემით მიმართავს მათ და მოუწოდებს, რომ მსვლელობები მხოლოდ ლოცვითი და მშვიდობიანი იყოს, რადგან ეკლესია იყო და არის ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი. უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით! — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს, 17 მაისს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჰომოფობიის წინააღმდეგ გამოვლენ. გარკვეული ღონისძიებები თბილისშიც გაიმართება.

თბილისში დაგეგმილია მსვლელობა, ასევე — მასშტაბური საპროტესტო აქცია ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა ავთანდილ უნგიაძემ „ნეტგაზეთს“ უთხრა, რომ 17 მაისს მრევლი შეკრებას დილიდან დაიწყებს თბილისში, ფილარმონიის შენობასთან. 10:00 საათიდან ფილარმონიიდან დაიწყება მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობას სასულიერო პირებიც მიიღებენ. მსვლელობა რუსთაველის გავლით სამების ტაძრამდე გაგრძელდება, სადაც 12:00 საათზე მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი სავედრებელ პარაკლისს გადაიხდის.

დღის პირველ საათზე რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილ შენობასთან, სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზი გეგმავს მასშტაბური მიტინგის გამართვას, რომელსაც ექნება ტრიბუნა და სიტყვით გამომსვლელებიც ეყოლება.

გვარის წინამძღოლთა დარბაზის წარმომადგენელმა და აქციის ორგანიზატორმა მიხეილ ანდღულაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ აქციის თაობაზე მერია უკვე საქმის კურსშია. აღნიშნული მიტინგის მონაწილეები აპროტესტებენ კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და მოითხოვენ იმ ნაწილის გაუქმებას, რომლის მიხედვითაც დისკრიმინაციის საფუძვლად სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობაცაა ფორმულირებული:

— აქ იქნება ფართომასშტაბიანი მანიფესტაცია. საქართველოს პატრიარქის მოწოდების მხარდასაჭერად, რომლის მიხედვითაც ხვალ ეროვნული დღესასწაული დაფუძნება ხდება, ოჯახის სიმტკიცის და მშობლების პატივისცემის. გარდა ამისა, ჩვენ გვსურს შევუერთდეთ პატრიარქის პათოსს ანტიდისკრიმინაციული კანონის თაობაზე და მოვთხოვოთ ხელისუფლებას, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ამოღებულ იქნეს ეკლესიისა და საზოგადოებისთვის მიუღებელი ფორმულირებები: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. მიტინგზე იქნება გამოსვლები, საზოგადოების წარჩინებული სახეები გამოვლენ და თავიანთ მოსაზრებებს გაცნობენ საზოგადოებას. — აცხადებს ანდღულაძე.

მისი განმარტებით, თბილისის მერობის კანდიდატის მიხეილ-გელა სალუაშვილის პარტიამ, „უფალია ჩვენი სიმართლე“, პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ზემოხსენებული ფორმულირებების ამოღებას ითვალისწინებს, თუმცა იმისათვის, რომ ცვლილება საკანონმდებლო ინიციატივად იქცეს და პარლამენტში მისი განხილვა მოხდეს, მინიმუმ 30 ათასი ადამიანის ხელმოწერაა საჭირო: აქციაზე იქნება მაგიდებიც, სადაც შეგროვდება ხელმოწერები.

მიხეილ ანდღულაძეც და ავთანდილ უნგიაძეც ამბობენ, რომ ის ადამიანები, მათ შორის სასულიერო პირებიც, რომლებიც ფილარმონიიდან სამებამდე მსვლელობაში მიიღებენ მონაწილეობას, სავარაუდოდ, 13:00 საათზე პარლამენტის ყოფილ შენობასთან გადაინაცვლებენ და საპროტესტო დემონსტრაციას შეუერთდებიან.

რუსთაველის გამზირზე დღეს დემონსტრაციას კიდევ ერთი ჯგუფი გეგმავს, რომელიც ასევე აპროტესტებს ანტიდისკრიმინაციულ კანონს და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას მოითხოვს, საუბარია დევნილთა ახალგაზრდულ ორგანიზაციაზე. ამ დასახელების ორგანიზაცია საჯარო რეესტრის ბაზაში არ იძებნება, თუმცა ვაკო ფაჟავა, რომელიც მისი თავმჯდომარეა, ამბობს, რომ იქ რამდენიმე ასეული ახალგაზრდაა გაერთიანებული. რამდენიმე დღის წინ, ამ ორგანიზაციაზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდების ჯგუფი 17 მაისს საქართველოში სარკინიგზო მაგისტრალებისა და ქუჩების გადაკეტვას გეგმავს, თუმცა ფაჟავამ „ნეტგაზეთს“ უთხრა, რომ საუბარია მხოლოდ თბილისში რუსთაველის გამზირის გადაკეტვაზე. შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მიხედვით, საავტომობილო გზის გადაკეტვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მომიტინგეები ტროტუარზე ვერ ეტევიან. ფაჟავა იმედოვნებს, რომ მათ დემონსტრაციას ადამიანთა საკმარისი რაოდენობა შეუერთდება. აღსანიშნავია, რომ რუსთაველი შესაძლოა 13:00 საათზე საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის მიტინგის შედეგადაც გადაიკეტოს, თუმცა ფაჟავა ამბობს, რომ ისინი აქციას ამ ჯგუფისაგან დამოუკიდებლად მართავენ. მისი თქმით, რუსთაველის გამზირის გარდა შესაძლოა, თბილისში სხვა ქუჩებიც გადაკეტონ, თუმცა კონკრეტიკისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

17 მაისს ლგბტ პირებიც აღნიშნავენ. ოღონდ ღონისძიებას საჯარო სივრცეში არ გამართავენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ვირტუალურ სივრცეში აღნიშნავს.

მათ მიერ ორგანიზებული აქცია შარშან დიდი შეხლა-შემოხლით დასრულდა. ჩვენი სამართალდამცავების აქტიურობა რომ არა, შესაძლოა, ეს ყველაფერი ტრაგიკული შედეგით დასრულებულიყო. სამართალდამცველები წელსაც მობილიზებული იქნებიან და, როგორც თავად ამბობენ, კანონის სრული დაცვით იმოქმედებენ.

შარშანდელი აქციის დარბევას დიდი აურზაური მოჰყვა. ამ თემას აქტიურად აშუქებდა უცხოური მედია. სასულიერო პირების ქმედება ხელისუფლებამაც დაგმო. მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა პატრიარქმაც, მან აღნიშნა, რომ იმ დღეს სამღვდელოება უზრდელურად მოიქცა.

საერთო სახალხო მღელვარებას არც მთავარი საგამოძიებო ორგანო ჩამორჩა.

პროკურატურამ ბრალი ორ სასულიერო პირს იოთამ ბასილაიასა და ანთიმოზ ბიჩინაშვილს წაუყენა,

არქიმანდრიტ ანთიმოზ ბიჩინაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა შეწყდა. რაც შეეხება მეორე სასულიერო პირს, იოთამ ბასილაიას გასული წლის 17 მაისიდან ერთი წლის თავზე მისი სასამართლო პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. მას ბრალი შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის, ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში ედება — ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მუხლი, რომლითაც სასულიერო პირებს წაუყენეს ბრალი, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

2014, 17 — 18 მაისი, №115

# ადა მარშანია: საზოგადოებამ ხელისუფლებას თავისი ძალა უნდა აჩვენოს"

მარიკა მჭედლიშვილი

**'ახალი თაობა~ ესაუბრა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, 'სრულიად საქართველოს პატრიოტთა ალიანსის~ ერთ-ერთ ლიდერ ადა მარშანიას.**

— „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელ კახა კახიშვილის ინფორმაციით, წელს, 1-დან 30 აპრილის ჩათვლით, „ქართულ ოცნებას" მარტო შემოწირულობების სახით მილიონ 804 ათასი ლარი ჩაერიცხა. რა ხდება სხვა პარტიებში?



— არ ვიცი, რა მდგომარეობაში არიან ამ მხრივ სხვა პარტიები. მე „სრულიად საქართველოს პატრიოტთა ალიანსზე" ვისაუბრებ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენთან ბიზნესმენები მარტო საჩივლელად მოდიან. ბიზნესმენები წუხან იმაზე, თუ რა გაუსაძლის დღეში არიან. ასე იყო „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროსაც და ასეა ახლაც. 1-ლი ოქტომბრის მერე ბათუმში ვიმყოფებოდით. მაშინ „ნაციონალური მოძრაობა" აღარ იყო ხელისუფლებაში, მაგრამ, ბიზნესმენები გვაკითხავდნენ და „ნაციონალებზე" ჩიოდნენ, ისევ გვახრჩობენო. მოგვმართავდნენ თხოვნით, რომ მათთვის გვეშველა. ჩვენ, როგორც შეგვეძლო, მათ გვერდით ვედექით და რაც შეგვეძლო, იმით ვეხმარებოდით. არც სახელისუფლებო პარტია ვიყავით და არც სახსრები გვქონდა, მაგრამ ჩვენ მოგვმართავდნენ.

***— ალბათ, მებრძოლები იყავით და იმიტომ?***

— სააკაშვილის წინააღმდეგ თითქმის არც ერთი ბრძოლა არ გაგვიცდენია. პარტიის შექმნამდე ჩვენ „წინააღმდეგობის მოძრაობაში" ვიყავით გაერთიანებული.

***— როგორც ვხვდები, ბიზნესმენებთან თქვენი კეთილგანწყობილი ურთიერთობა ცალმხრივი აღმოჩნდა?***

— მართლაც ასეა. ბიზნესმენებს ჩუმად და კონფიდენციალურადაც არ გაუმართავთ ჩვენთვის ხელი. ისინი არანაირად არ დაგვდგომიან გვერდში. მარტო ფინანსურ მხარეს კი არ ვგულისხმობ, არამედ, მორალურსაც. სიტყვითაც არ უთქვამთ, თქვენი სოლიდარულები ვართო.

***— მაგალითად, პატიმრების დაცვის დროს?***

— პატიმრების დასაცავ აქციებს პატიმრების მშობლები არ უერთდებოდნენ და ბიზნესმენები რას გაირჯებოდნენ! ასე რომ, ამ მიმართულებით მანკიერება გრძელდება. მანკიერი სისტემა შენარჩუნებულია. არც ერთი წუთით არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრძოლა დამთავრებულია. ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ, მაგრამ, გული მწყდება, რომ ასეთი კარგი ლოზუნგებით და დაპირებებით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ" ხალხი მოატყუა, „ქართულმა ოცნებამ" საზოგადოებას უღალატა. შეიძლება, ჩემი განცხადება ძალიან კატეგორიულად და რადიკალურად შეაფასოთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენ რადიკალები კი არა, ადეკვატურები ვართ.

***— სამწუხარო რეალობაა, მაგრამ, ხალხის დიდი ნაწილიც ასე ფიქრობს.***

— იმიტომ რომ წინასაარჩევნოდ სხვა დაპირებები გაისმოდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან" კოაბიტაციის დაპირება არ ყოფილა. არც ხალხის შეკვეთა ყოფილა კოაბიტაცია. პირიქით. საზოგადოება მოითხოვდა, რომ მსხვერპლის გარეშე და უსისხლოდ სწრაფად წასულიყო კრიმინალური, ხალხის მაწვალებელი, ხაზინის ქურდი სააკაშვილის რეჟიმი. არც კოაბიტაცია იყო წინასაარჩევნო დაკვეთა, არც კონფორმიზმი და არც „ოცნებისა" და „ნაციონალების" ერთობლივი შავბნელი საქმეები. „ოცნება" ხალხის დაკვეთას არ ასრულებს. ამას ტკივილით ვამბობ. გულდასაწყვეტია ჩვენი ყოფილი თანამებრძოლების საქციელიც.

***— რას გულისხმობთ?***

— პარლამენტში რამდენიმე დეპუტატია, რომელიც ამა თუ იმ საქმეში ჩვენი თანამებრძოლები იყვნენ. ახლა რომ ვურეკავთ, ყურმილსაც აღარ იღებენ. ამიტომ ვაცხადებ — ბრძოლა გრძელდება. ახლა ჩვენ წინაშე ასეთი ამოცანაა — ორივე ძალა უნდა მოვაშოროთ ხელისუფლებას. „ნაციონალების" მოშორება განსახილველი საკითხიც არ არის. სამწუხაროა, რომ გვიწევს ბრძოლა „ქართული ოცნების" წინააღმდეგაც. ამიტომ მექნება ასეთი მოწოდება — არც ერთი ხმა „ნაციონალურ მოძრაობას" და არც ერთი ხმა „ქართულ ოცნებას". „ქართულმა ოცნებამ" ხალხს უღალატა. ჩვენ ვხედავთ საეჭვო გარიგებებს „ნაციონალებთან" და მათ ერთობლივ საქმეებს.

***— „ოცნებისა" და „ნაციონალების" ერთობლივ პროდუქტად აღიქმება ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ ეთანხმება...***

— მე ვიტყოდი, რომ „ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობა" სულ უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს. იცით, რა ხდება? ხალხი, რომელიც სანუკვარ ხელისუფლებაში მოკალათდა, ერთიან სხეულად იქცევა. მათი მიზანი და ამოცანაა, რაც შეიძლება მყარად და ხანგრძლივად იყვნენ ხელისუფლებაში.

***— ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთსულოვნად გატანის მიზანი რა იყო?***

— ეს კანონი მკაფიო გამოხატულებაა იმისა, რომ ამ ძალების წარმომადგენლები ქმნიან წინაპირობებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ისინი მომავალზე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებსა და სავარძლების შენარჩუნებაზე ფიქრობენ. მათ უნდათ, ყველა ხერხით ასიამოვნონ ევროპას და იქ ჰქონდეთ მხარდაჭერა. ამ პირების ამოცანაა, დაანახვონ ევროპას, ევროსტრუქტურებს, თითქოს საქართველოში პროგრესული მარტო „ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობაა". ესაა გზავნილი უცხოეთისთვის.

***— საყდრისის დანგრევის სურვილი როგორღა აიხსნება? საქართველოს ხელისუფლებას ასეთი სურვილი გაუჩნდა იმ დროს, როცა ევროპელი მეცნიერები საყდრისის ოქროს მომპოვებელ მაღაროს უნიკალურ უძველეს ძეგლად მიიჩნევენ...***

— საყდრისის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო სერიოზული სიგნალი საზოგადოებისთვის. ხალხს ამაზე ადეკვატური რეაქცია უნდა ყოფილიყო.

***— საყდრისის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასვლა შეიძლება ყველამ ვერ მოახერხა, მაგრამ, საზოგადოების პროტესტი დიდი იყო...***

— დიახ. პროტესტი თითქმის მუდმივად იყო, მაგრამ, მე ეს არასაკმარისად მიმაჩნია. შეიძლება მაქსიმალისტი ვარ და მინდა, უფრო სერიოზული წინააღმდეგობა იყოს. საუბედუროდ, ადეკვატურ რეაქციას ვაგვიანებთ. შეფასებებში ძლიერები ვართ, ფაქტებს დროულად და სწორად ვაფასებთ, მაგრამ, მოქმედებებს ვერ ვახერხებთ. ამას ხედავს ხელისუფლება.

***— გაისმის მუქარები და პროგნოზები სახალხო გამოსვლების შესახებ 15 ივნისს დანიშნული არჩევნების გაყალბების შემთხვევაში...***

— არა მგონია, რაიმე სერიოზული გაბრაზება იყოს და, აქედან გამომდინარე, მოძრაობა დაიწყოს. ხალხმრავალი გამოსვლებიც გვინახავს, 300-ათასიანი მიტინგებიც. მაგრამ, მარტო ისე გავლა, რომ ფოთოლი არ ჩამოვარდეს, არაფერს ცვლის. ამიტომაც ვუყურებდით წინა რეჟიმის საშინელებებს მთელი ცხრა წლის განმავლობაში. ახლა არანაირ აღშფოთებას არ ველი.

***— გაყალბების შემთხვევაშიც?***

— სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, რომ იქნება გაყალბება, რასაც არანაირი პროტესტი არ მოჰყვება. პირველ ადგილზე გავა „ოცნება", მეორეზე — „ნაციონალური მოძრაობა". მესამეზე არ ვიცი, ვის გაიყვანენ. მოსალოდნელია „ოცნებისა" და „ნაციონალების" აქტივისტების მობილიზება. ხსნა ჩვენში, საზოგადოებაშია. მთავარი ისაა, რომ საზოგადოება უფრო სერიოზულად უნდა მიუდგეს პრობლემებს. როგორი შეგნებაც გვაქვს, ისე ვცხოვრობთ. თუმცა, შეიძლება, შეგნება მშვენიერი გვქონდეს, მაგრამ, მას უნდა მოჰყვეს შეგნებული აქტივობა, მოქმედება. სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავ. საზოგადოებას მივმართავ — შეგნებას შეგნებული მოქმედებები მოაყოლონ. თორემ, მუდმივად ვივლით და ფოთოლს არ შევარხევთ შეგნებული, ყველაფრის მცოდნე, კარგი ანალიზის მქონე ადამიანები. ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებამ ძალა უნდა ვაჩვენოთ ახლანდელ და წინა ხელისუფლებას.

# სოზარ სუბარი: თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება სამჯერ დავწერე"

## რატომ დასაქმდნენ მის უწყებაში ზონდერები

შორენა გონგლაძე

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, კვირა არ გავა, რომელიმე მინისტრმა ან პარლამენტმა თავისი პოლიტმარგალიტებით არ გაგვაოცოს. ბოლო „კვირგვინოსანი" იყო სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი. სიმართლე გითხრათ, სუბარის არსებობა კაი ხანს ყველას მიავიწყდა, რომ არა ლალი მოროშკინა და ნაციონალები, ალბათ სოზარი კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩრდილში, ჟურნალისტური სკანდალებისგან მივიწყებული. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემები არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, არჩევნების შემდგომ ციხეებში ლიბერალიზმის დამკვიდრებამ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვალა; თუ მანამდე პატიმრები უჩიოდნენ ციხის ადმინისტრაციიდან სასტიკ მოპყრობას, ახლა, პირიქით, პატიმრების თავგასულობაზე უკვე ციხის მომსახურე პერსონალი ალაპარაკდა. სასჯელაღსრულების სამინისტროს გარშემო სიტუაცია არაერთხელ დაიძაბა, პრეტენზიები ძირითადად იყო სოზარ სუბარზე, ანუ თვლიდნენ, რომ მინისტრმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოზარ სუბარი მზად იყო თანამდებობა დაეტოვებინა, რომ მან განცხადება გადადგომის შესახებ არაერთხელ დაწერა. ცოტა გაუგებარია, ვის აწყობს სოზარ სუბარის თანამდებობრივი ტანჯვის ყურება და რა მოსაზრებით, ამის ახსნაც ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ სოზარ სუბარი დღემდე სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობაზე რჩება.

ის, რომ სოზარ სუბარი გადადგომისათვის უკვე დიდი ხანია მზადყოფნას გამოთქვამს, მინისტრმა ეს გუშინ მთავრობის სხდომის შემდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურა. სუბარმა ასევე დაადასტურა ისიც, რომ მან გადადგომის შესახებ განცხადება სამჯერ დაწერა. როგორც სუბარმა აღნიშნა, მან თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით ბიძინა ივანიშვილს ორჯერ, მესამედ კი, ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა.

— მე პირადად ორჯერ მივმართე ბიძინა ივანიშვილს მისი პრემიერმინისტრობის დროს გადადგომის თხოვნით და ერთხელ ამჟამინდელ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, — განაცხადა სუბარმა. კითხვაზე, თუ როდის მიმართა მან გადადგომის თხოვნით ღარიბაშვილს, სუბარმა განაცხადა, რომ ეს დიდი ხნის წინ მოხდა.

სოზარ სუბარის მინისტრობის პერიოდში, მისი, როგორ მინისტრის პროფესიული უუნარობის არაერთი ფაქტი შეიძლება დასახელდეს. მაგალითად, ბოლო დღეებში ნაციონალური მოძრაობის წევრის, ირმა ნადირაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტში დეკემბრის თვეში გაცემული ხელფასების შესახებ. ნადირაშვილის მიერ გავრცელებული დოკუმენტის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცხრამეტ თანამშრომელზე ყველაზე მაღალი ანაზღაურება გაიცა 39 130 ლარი, ყველაზე დაბალი კი 18 222 ლარი. მათ შორის არის „რუსთავი 2"-ის დაცვის ყოფილი უფროსი, ვლადიმერ ბუნტურიძე, რომელმაც დეკემბერში ხელფასის სახით 38 390 ლარი აიღო.

თავად ფაქტი, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, მაგრამ ამ ყველაფერში ყველაზე ცუდი ის არის, რომ როგორც აღმოჩნდა, გაცემული პრემია-ხელფასების ამბავი სოზარ სუბარმა პრესის მეშვეობით გაიგო. გუშინ მინისტრმა დაადასტურა, რომ პრემიების საკითხი მასთან შეთანხმებული არ ყოფილა. უწყება, სადაც საკმაოდ სოლიდური პრემიების გაცემის საკითხი მინისტრის გარეშე წყდება, საეჭვოა, რომ მინისტრი სხვა უფრო მნიშვნელოვანი პროცესების საქმის კურსში იყოს, რაც საბოლოოდ ერთ დიდ პრობლემას ქმნის, რაც უკვე კარგა ხანია სახეზეა.



ამასთან ერთად, სუბარი აცხადებს, რომ აბსოლუტურად ეს ყველაფერი დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი იყო.

— აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი იყო ის პრემიები, რომელიც გაიცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. ზოგადად ეს დეპარტამენტი არის საქვეუწყებო დაწესებულება, რაც ნიშნავს, რომ მას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი და დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი დარბაისელი თვითონ გასცემს ამ პრემიებს, — განაცხადა სუბარმა. მისი განმარტებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრემიების ეს საკითხი მინისტრთან შეთანხმებული არ ყოფილა.

— სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ზოგადად, საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომელსაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი და საბიუჯეტო კოდი აქვს. ამ პრემიებს თავმჯდომარე თვითონ გასცემს, თუმცა ზოგადად, მინისტრთან შეუთანხმებლად ეს გაუმართლებელია და შეთანხმებას შიდა რეგულაციაც ითვალისწინებს. ამ საკითხზე მკაცრი რეაქცია მქონდა და მკაცრად მოვთხოვე პასუხი ხელმძღვანელს. პრემიების გაცემაზე მისი მოტივაცია იყო, რომ წლის ბოლო იყო, ურთულეს სისტემაში და პირობებში უწევდათ მუშაობა, თუმცა მე და მთავრობის ვერც ერთი წევრი, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი ამის გამართლებას ვერ ვხედავთ. იქიდან გამომდინარე, რომ ხელმძღვანელობა თვენახევრის მოსული იყო და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დეპარტამენტში მესამე ცვლილება განხორციელდა, სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, გარდა მკაცრი გაფრთხილებისა. რაც შეეხება საკადრო საკითხებს, თვეების განმავლობაში ბევრი კითხვა მეც მქონდა დარბაისელის მიერ გატარებულ საკადრო გადაწყვეტილებებზე. პირადად ჩემთვის, ზოგიერთი ადამიანი, ვინც იყო და დღესაც რჩება დეპარტამენტში, მორალურად მიუღებელი იყო, ორი მათგანი უკვე გათავისუფლდა თანამდებობიდან", — განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება მინისტრის მიერ ნახსენებ „შიდა რეგულაციებს", რაც ნაწილობრივ ამართლებს დიმიტრი დარბაისელის ქმედებას, ამის საპასუხოდ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბატონი სოზარ სუბარის მიერ 2012 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ 176-ე ბრძანება, რომელსაც თავად სოზარ სუბარი აწერს ხელს, სადაც შავით თეთრზე გარკვევით წერია, რომ დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, პატიმრობის კოდექსით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით. ხოლო დეპარტამენტის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ნაწილს და ასევე, დეპარტამენტის დებულებას და ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს მინისტრი დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

თუმცა, მინისტრის თქმით, გაცემული მაღალი პრემიების მიუხედავად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში თანამდებობას ინარჩუნებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ამასთან, მისივე თქმით, გათავისუფლდა რამდენიმე თანამშრომელი, რომელთა თანამდებობაზე ყოფნაც მორალურად გაუმართლებელი იყო.

თანამდებობიდან გათავისუფლდა ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან ბათუმის ციხის ყოფილი უფროსი, ასევე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი გიორგი ყავლაშვილი.

რაც შეეხება გიორგი ყავლაშვილს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი ლალი მოროშკინა ყავლაშვილთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ტექნიკის დაზიანებაში ბრალდებული გიორგი ყავლაშვილი დიმიტრი დარბაისელმა ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ძველი საქმიანობით არის დაკავებული და მოსმენების სამსახურს კურირებს. არადა, შეიძლება ითქვას, რომ სულ ცოტა ხნის წინ გიორგი ყავლაშვილს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რაც სხვისი ქონების განადგურებას გულისხმობს და 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მოროშკინა იშველიებს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მიერ 2012 წლის 15 ნოემბერს გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ყავლაშვილს ბრალი წარედგინა ასევე 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს და 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ყავლაშვილი და კიდევ რვა ადამიანი სხვა საქმეზე დააკავეს, პროკურატურა მათ პირადი ცხოვრების ხელყოფას ედავებოდა. „დაკავებულია ცხრა ადამიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ჩინოსნები, რომლებსაც ბრალი ედებათ იმაში,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სოფიო ხორგუანი: ადეიშვილი ერთ ღამეში წერდა კანონს და მეორე დღეს ის უკვე ძალაში იყო“

## მენტალურად უნდა შევიცვალოთ, რომ ქვევიდან ზევით არ ვუყუროთ მინისტრებს

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ საინფორმაციო პორტალ პლანეტა გე-ს“ ხელმძღვანელ სოფიო ხორგუანთან

— შეიძლება ერთი შეხედვით ჩანს, რომ ქვეყანა წინ არ მიდის და ქაოსია, კრიზისია, არის იმედგაცრუება, მაგრამ არ მაქვს იმედგაცრუების განცდა, მით უმეტეს, თუ იმას გავითვალისწინებთ, სად ვიყავით და რა პირობებში ვცხოვრობდით, იმას სახელმწიფო არ ერქვა, მმართველობა იყო საშინელი, ახლა ვითარება ნორმალურია. იდეალური მმართველობა განვითარებულ ქვეყნებშიც არ არის. ჩვენ არ ვართ განვითარებული ქვეყანა, კი ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ბევრი პრობლემაა. ფაქტია, რომ დღეს დავიწყეთ სახელმწიფოს მშენებლობა, აქამდე არ გვქონდა სახელმწიფო. საბჭოთა წარსულიდან მოყოლებული, შევარდნაძის პერიოდში და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროიდან არ გვქონია იმის განცდა, რომ ეს არის ჩვენი სახელმწიფო. როგორც მეწველი ძროხა, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება ასეთი იყო. წარმატებული ადამიანი იყო მხოლოდ ის, ვინც სახელმწიფო სამსახურში იყო. შევარდნაძის დროს ბიუჯეტამდე ხდებოდა ფულის შოვნა, სააკაშვილის დროს ბიუჯეტში ხდებოდა თანხების მობილიზება, მაგრამ ბიუჯეტი იძარცვებოდა, ხუთი ადამიანის ხელში იყო საბიუჯეტო თანხები, იყო ელიტური კორუფცია. დაბალ ფენაში არ იყო კორუფცია, მაგრამ ის ხუთი კაცი ანაწილებდა ფულს და მდიდრდებოდა. არ მესმის, რატომ უნდა ოცდახუთი წლის ახალგაზრდას სახელმწიფო სამსახურში მუშაობა. იცის, რომ ექნება მაღალი ხელფასი და პრემიები, უფასო ბენზინი და კეთილდღეობა. ამათ ჰგონიათ, რომ ჩვენ უნდა შევაგროვოთ ფული, რომ მათ იცხოვრონ კარგად და იარონ ჯიპებით. მენტალურად უნდა შევიცვალოთ, რომ ქვევიდან ზევით არ ვუყუროთ მინისტრებს. პრობლემებია საკადრო პოლიტიკაში და საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ერთი გუნდის განცდა არ გვაქვს, თუმცა ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ამ დამოკიდებულებამ რა მოგვიტანა დავინახეთ. ტოტალური სისტემა იყო, ერთი კაცი იყო ვერტიკალზე და მას ემორჩილებოდა ყველა. ახლა ასე არ არის და შეიძლება ადამიანებს უჩნდებათ ქაოსის განცდა. ეს არის ეტაპი, რომელიც უნდა გავიაროთ. არასტაბილურობის და ქაოსის განცდა ყველას გვაქვს. ეს მონაკვეთი, მთავარია, სწორად გავიაროთ. პრობლემა არის სისტემური ხედვა, როგორი ტიპის სახელმწიფო იქნება და სად მივდივართ. შეიძლება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვერ დაწერა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და გეგმა, არსებობს გამოცდილი ევროპული კომპანიები, რომლებიც ამ სტრატეგიას და გეგმას შეიმუშავებენ. შეიძლება ათი მილიონი ან მილიონი დამჯდარიყო ამ პოლიტიკის დაწერა, მაგრამ ეს იქნებოდა უკვე შემუშავებული სტრატეგია. სულ 5% ჩაიდო სოფლის მეურნეობის სისტემაში და ახლა უკვე არის შედეგი, 300 მილიონი დაიხარჯა მცირე პროექტებში. კარგი შედეგია. ფული უნდა ჩავდოთ სტრატეგიული დარგების განვითარებაში, მაგალითად, განათლებაში, რომელიც წლების შემდეგ მოგვცემს უზარმაზარ ეფექტს. სანამ ქვეყანაში მყარი და სტაბილური საშუალო ფენა არ იქნება, როგორც დემოკრატიული ქვეყანა, ვერ განვვითარდებით. დღეს ვისმენთ ნაციონალებისგან, რომ ეს მთავრობა უნიათოაო, თვითონ ვინ იყვნენ, იმას მმართველობა ერქვა? ერთი კაცის ნება იყო, რაც სულაც არ იყო გენიალური და სწორი. ამ დროის მანძილზე რომ ქვეყანა სწორად განვითარებულიყო, ახლა შესანიშნავი შედეგი გვექნებოდა. საგარეო ვალი ამხელა არ გვექნებოდა, არ იქნებოდა ასეთი დიდი უმუშევრობა, განათლებაში კატასტროფა გვჭირს, ჯანდაცვაში გადასული არიან იმაზე, ვინ და სად გადაარჩინონ, ეს სისტემაც დასალაგებელია. ფორსმაჟორში მუშაობენ, მაგრამ დროა და აუცილებელია, რომ სისტემური ცვლილებები მოხდეს, რაც ალბათ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოხდება. თუმცა ქვეყანაში დღეს კატასტროფული მდგომარეობა არის, ამას ვერ ვიტყვი. დღეს შედარებით ვითარება ნორმალურია იმის გათვალისწინებით, რა მდგომარეობაში ვიყავით.

***— სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა დამაფიქრებელია, დეპარტამენტის თანამშრომლებმა უზარმაზარი პრემიები მიიღეს მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. ამაზე როგორია თქვენი აზრი?***

— ეს უმძიმესი ვითარებაა, ასეთი გაჭირვებაა ქვეყანაში, ამის უფლებას მოხელე თავს არ უნდა აძლევდეს. ადრე თუ ეს ამბები არ ხმაურდებოდა, ახლა გახმაურდა. დღეს სახელმწიფომ რეაგირება დაიწყო, მინისტრმა თქვა, რომ ეს არ არის მოსაწონი და ეს პრემიების სისტემა რადიკალურად უნდა შეიცვალოს. რეიგანის მმართველობა დაფუძნებული იყო სისტემაზე, იდეაზე, ადამიანებზე, კადრებზე, სწორ ადგილას სწორი ადამიანი უნდა შეირჩეს. ისრაელს დიდი დახმარება ჰქონდა, მაგრამ სხვა ქვეყნებიდან ბრუნდებოდნენ ებრაელები და აშენებდნენ თავიანთ სახელმწიფოს. ისრაელს ჰქონდა იდეა, აღთქმული მიწა, ამ იდეით აშენებდნენ ქვეყანას. უდაბნოში ააშენეს ქვეყანა, მოწინავე ქვეყანაა. ჩვენ კი სამოთხეში ვცხოვრობთ და ამას უნდა დაფასება. ერთი იდეის გარშემო უნდა შეიკრიბოს მთელი ერი. ამაზეც უნდა იფიქროს ხელისუფლებამ, რომ გააერთიანოს მოქალაქეები. მსოფლიოში არის ფული, რომელიც შეიძლება მოიზიდო, იგივე რაც ხდება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, ხარვეზებით შენდება დევნილებისთვის სახლები. ფონდები შეიძლება იპოვო, რომლითაც ფულს მოიზიდავ და სახლების აშენებას დაიწყებ. თუ კარგ სამოქმედო გეგმას გააკეთებ, სოფლის მეურნეობაში ბევრი რამ გაკეთდება. ათი წლის შემდეგ მივიღებთ შედეგს, მაგრამ დღეს უნდა დაიწყოს დიდი რეფორმები ამ დარგში.



***— უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით სკანდალის აგორება ნაციონალებს მიეწერება, ისინი სარგებლობენ ამით და შავ პიარს უგორებენ ხელისუფლებას, მით უმეტეს არჩევნებამდე. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

— დიახ, უკანონო მოსმენების კანონთან დაკავშირებით პირველი მოსმენით იქნება მიღებული, ჯიპების შეძენა, ზედმეტი ფუფუნების უფლება თავს არ უნდა მისცენ, საზოგადოებამ უნდა გააკონტროლოს ეს პროცესები, ეს სისტემურად უნდა გასწორდეს. კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანია. ადამიანები, რომელთა გამოც ასეთ დღეში ვართ, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ. მთავარია, ეს არა იმიტომ, რომ მე გამიჩნდეს სამართლიანობის განცდა, არამედ იმიტომ, რომ რასაც ვედავებოდით შევარდნაძის კორუმპირებულ მინისტრებს და სააკაშვილის მთელ კორუმპირებულ სახელმწიფო აპარატს, იგივე არ გააკეთოს და არ გაბედოს ამ ხელისუფლებამ. პასუხისმგებლობის საკითხი ამიტომ უნდა დადგეს. როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ შევარდნაძის მინისტრები კი არ დააპატიმრა, არამედ ფული წაართვა, ახლა იგივე შევარდნაძის დროინდელი მინისტრები ისევ აღზევებას ცდილობენ, გონორით გვესაუბრებიან.

***— ნაციონალების მთავარი პრინციპია, აი, ჩვენ ვიყავით, დავუშვათ, ცუდები, მაგრამ თქვენ, მეოცნებეები უარესები ხართ, გრძელდება და უარესობისკენ არის მოსმენების საქმე.***

— მე არ მახსოვს, რომ ნაციონალებს ეთქვათ, ჩვენ ცუდები ვიყავითო, მხოლოდ ბოკერიამ თქვა სადღაც, რომ იყო სისტემური პრობლემებიო, სხვები ბოდიშს არ იხდიან. უნიათო მთავრობააო, თავად როგორები იყვნენ. აგვისტოს ომამდე გვიმტკიცებდნენ, რომ დემოკრატიულ ინსტიტუტებს აშენებდნენ, აგვისტოს ომის შემდეგ ვინ სად გარბოდა, არავინ იცოდა, დაბნეულები და უნიათოები იყვნენ, სრული ქაოსი იყო. ჰალსტუხი რომ ღეჭა ერთმა ადამიანმა, ამას გადაჰყვა მთელი ქვეყანა.

***— მოსასმენი აპარატურა მოდულის შენობიდან გაქრაო, ჭიკაიძის განცხადება მოვისმინეთ, ხომ არის შესაძლებლობა, შეიძინონ ისეთი ტექნიკა, რომელიც დაადგენს ამ მოპარული აპარატურის ადგილმდებარეობას. რატომ არ აკეთებენ ამას?***

— მე მოვისმინე მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას განცხადება, არის ტექნიკა და დეტალებზე არ საუბრობენ, მაგრამ პრობლემა დარჩა და ერთ დღეში რატომ ვერ მოაგვარეს ეს პრობლემაო. ჩვენ ვნახეთ ერთ დღეში როგორ გვარდებოდა პრობლემა, ადეიშვილი ერთ ღამეში წერდა კანონს და მეორე დღეს ის უკვე ძალაში იყო. ახლა გაიგზავნა კანონპროექტი ევროპაში, მას იხილავენ სპეციალისტები, ექსპერტები. სააკაშვილის დროს კანონში არსად ეწერა, რომ რეზინის ტყვიებით შეიძლება აქციების დაშლა, ეს მერე ჩადეს კანონში, როცა ერთი ამბავი მოხდა, არ უნდა შეეძინათ, როცა კანონში ეს არ ეწერა.

***— გასაგებია და საზოგადოება იმაზე არ დავობს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და მასშტაბური კრიმინალის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსმენების პრაქტიკა ყველა ქვეყანაშია, მაგრამ პირადი ცხოვრება დაცული უნდა იყოს. ამაზეა საუბარი.***

— კი ბატონო, კანონზე მიდის მუშაობა, ბევრი ხარვეზი იყო კანონში. ნება უნდა იყოს. კანონში არსად ეწერა, რომ ვინმეს ჰქონდა უფლება, კანონიერი ქურდის კიის ჯოხით გაუპატიურებისა, ამის მერე ვიდეოზე გადაღების და დაშანტაჟების უფლება. საბჭოთა სუკის გამოცდილებას იყენებდა სააკაშვილის რეჟიმი. წინასაარჩევნო პერიოდში ყველაფერი გაზვიადებულია, ამიტომ, ამ დროს გაკეთებული განცხადებები, შეფასებები, უნდა გაიცხრილოს და გაიფილტროს. წინასაარჩევნო გარემოს თუ შევაფასებთ, რაიმე სერიოზული დარღვევა ჯერ არ დაფიქსირებულა, ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები იმაზე უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე იყო საპრეზიდენტო არჩევნები. ყოველი მომდევნო არჩევნები უნდა იყოს უკეთესი. პროკურატურამაც კი გაავრცელა განცხადება, რომ მორატორიუმს ვაცხადებთ და ამ პერიოდში არავის დაპატიმრება არ მოხდებაო. ახლა ამათ მმართველობის პრობლემა აქვთ, გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, კარგი ადამიანი არ ნიშნავს იმას, რომ კარგი მინისტრია, კარგი ბუღალტერია თამარ სანიკიძე, მაგრამ არ არის კარგი მინისტრი, კარგი და პატიოსანი ადამიანი, შესანიშნავი მწერალია ბატონი გურამ ოდიშარია, მას დიდი გამოცდილება აქვს აფხაზებთან ურთიერთობისა, მაგრამ როგორც კულტურის მინისტრმა, მან ვერ მოახერხა სამინისტროს მართვა. პაატა ზაქარეიშვილის მოადგილედ დავნიშნავდი და მის გამოცდილებას ამ კუთხით გამოვიყენებდი, არამც და არამც კულტურის მინისტრად. ხადურმა, რომელიც ლექტორად სტუდენტებს ძალიან მოსწონთ, მინისტრად ვერ მოახერხა კარგი ფონის შექმნა. მან ნეგატიური იმიჯი შეიქმნა და არ ესმის, იმიჯი როგორ უნდა შეიქმნას, მისი ქვეუწყებები ვერ აგვარებენ კომუნიკაციას საზოგადოებასთან. შეიძლება დარახველიძე კარგი ადამიანია, მაგრამ დევნილების პრობლემებს ვერ აგვარებს. სუსტი მინისტრია. პოლიტიკა როგორ უნდა განსაზღვრო თუ სტრატეგია არა გაქვს. სამსახურში ვილაცების ახლობლები არ უნდა მიიღო.

***— წინა ხელისუფლების მხარდამჭერი ადამიანები ახლა აღფრთოვანებას ვერ მალავენ, როცა ქალაქიდან გადიან და ხედავენ, რომ თითოეული გოჯი მიწა დამუშავებულია და დახნულია, ეს მართლაც შთამბეჭდავია.***

— დიახ, აი, ეს არის სწორი ქმედებები და ფულის სწორად განკარგვა ხდება. სულ მხოლოდ 5% დაიხარჯა და ეფექტი უკვე დასანახია. კიდევ უფრო მეტ შედეგს მივიღებთ თუ იქნება სტრატეგიული გეგმა და სწორი პოლიტიკა განსაზღვრული. მე განცდა მაქვს, რომ ვითარება რადიკალურად შეიცვლება არჩევნების შემდეგ. სტრატეგიული გეგმის შემუშავებას განათლების ახლანდელი მინისტრი ვერ შეძლებს,. ეს აშკარაა.

***— ღარიბაშვილის დამსახურებაა, რომ საერთაშორისო განათლების ცენტრი შეიქმნა და არა სანიკიძის, ასე არ არის?***

— დიახ, ეს მთლიანად პრემიერმინისტრის ინიციატივაა. შესანიშნავი იდეაა, მეტი თავისუფლებაა, რომ რაღაცა არ გაიპაროს, მედიაც და სამოქალაქო საზოგადოებაც თავისუფალია. მათ უნდა გააკონტროლონ, რომ ამ ცენტრში ყველაფერი კარგად განხორციელდეს. ძალიან კარგია ჯანდაცვის მინისტრი სერგეენკო, ასევე ეკონომიკის მინისტრი კვირიკაშვილი, მე ვისურვებდი, რომ უფრო გაბედული გადაწყვეტილებები მიიღოს, სოფლის მეურნეობის მინისტრს მივცემდი შანსს, რომ ემუშავა. ბატონ ალასანიას გადავიყვანდი საგარეო საქმეთა მინისტრად, ჩვენს ქვეყანას სჭირდება სერიოზული საერთაშორისო იმიჯი. ამ ადგილზე ალასანიას ვხედავ, მას ამის შესანიშნავი შესაძლებლობა აქვს. პროკურატურა გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო წინა წლებში. მოკლედ, ყველაფერი ისე ცუდად ნამდვილად არ არის, როგორც ამის წარმოჩენას ნაციონალები ცდილობენ.

# სოზარ სუბარი: თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება სამჯერ დავწერე“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რომ მათ გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპიუტერული ქსელი, რათა ადამიანების პირადი ცხოვრება, მათ შორის კომერციული და ფინანსური ინფორმაცია გაეტანათ.

შეგახსენებთ, რომ ლალი მოროშკინა ბოლო პერიოდში აქტიურად აპროტესტებდა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებას, მოროშკინა შიმშილობის დაწყებასაც გეგმავდა, თუმცა არ დასჭირდა, ვინაიდან, როგორც ის აცხადებს, მის პროტესტს უკვე მოჰყვა რეაგირება. ლალი მოროშკინა დეპარტამენტის თავმჯდომარის დიმიტრი დარბაისელის პოლიტიკას აპროტესტებდა, როგორც მოროშკინა აცხადებდა, დეპარტამენტი დიმიტრი დარბაისელის მისვლის შემდეგ „ზონდერებით“ გაივსო.

როგორც ლალი მოროშკინამ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც დეკემბერში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად დიმიტრი დარბაისელი დაინიშნა, მან მოროშკინას უთხრა, რომ სამსახურში ნუ ივლიდა და ხელფასს სახლში მიუტანდნენ. მისივე თქმით, დარბაისელი შსს-დან გაგდებული იყო წამლის მოხმარებისა და დიდი ოდენობის ქრთამის აღების გამო, იგი ფანჯრიდან გადახტა და მიემალა გამოძიებას, თუმცა შემდეგ მოახერხა და სისტემას კვლავ დაუბრუნდა.

ასევე, მოროშკინას თქმით, ადამიანების დარბევაში მონაწილეობდა ჯაბა მაღლაფერიძე, რომელიც დღეს უსაფრთხოების სამმართველოს უფროსია. სწორედ მისი ხელმოწერით გადაიყვანეს გეგუთის ციხეში 3 პატიმარი, რომლებმაც გიგა ფარტენაძე მოკლეს. გარდა ამისა, ჯაბა მაღლაფერიძის ძმა უჩა მაღლაფერიძე, რომელიც მონიტორინგის დარგში სამმართველოს უფროსია, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის კადრებში ჩანს. 2011 წლის 26 მაისის აქციის კადრებში კი სიმონიკა მაჩაიძეა დაფიქსირებული. მოროშკინას თქმით, დაახლოებით, 10-მდე ადამიანია, რომელიც 3 თვის წინ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დიმიტრი დარბაისელის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, თავად მან მიიყვანა. ლალი მოროშკინა აღნიშნული პირების, ასევე დიმიტრი დარბაისელის თანამდებობიდან გადაყენებას და იმ თანხების დაბრუნებას ითხოვს, რომელიც პრემიის სახით გაიცა.

— ორი მაღალჩინოსნის გათავისუფლება არასაკმარისია. ვითხოვ, რომ დარბაისელი, რომელმაც სისტემა ზონდერებით გაავსო, მისივე მოყვანილი ზონდერებით თანამდებობიდან იქნას გათავისუფლებული. ვფიქრობ, რომ ეკა ბესელია და ირაკლი სესიაშვილი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მაშინ ამ პროცესებში, გვერდში დამიდგებიან. ადამიანების იდენტიფიკაცია მოახდინა ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ. ეს ადამიანები მხილებულები არიან სხვისი მანქანების და ქონების მიტაცებაში. ასევე „ქართული ოცნების“ სარჩევნო კამპანიის ჩაშლაში. ისინი უბნებზე ფიქსირდებიან, როგორც ზონდერები, — განაცხადა მოროშკინამ.

მისივე თქმით, მას წარმოუდგენია სოზარ სუბარის, როგორც ყოფილი სახალხო დამცველის უხერხულობა, როცა ომბუდსმენის თანამშრომლებს სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში თავისუფლება აღუკვეთეს.

— მესმის მინისტრის წუხილი, რომელმაც არ იცოდა ამხელა პრემიების შესახებ და ვფიქრობ, რომ ნამდვილად მძიმეა მისი ხვედრი, როგორც მინისტრის, რომელსაც ამაზე პასუხისგება უწევს, მაგრამ ამბიციები უკან უნდა დავწიოთ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღოთ. 2 მილიონ ნახევარზე მეტია ბიუჯეტიდან გახარჯული, მაშინ როდესაც, ჩვენ სასჯელაღსრულების სისტემა სოციალური დაზღვევებით ვერ უზრუნველვყავით, — განაცხადა მოროშკინამ.

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

[illegible]

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

[illegible] 2-დან 25 წლამდე, [illegible] 100%-იანია.

ქ-60 ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლანა ღოღობერიძე: ჩვენ რომ ევროპის წევრი ვხდებით, ეს ბედისწერაა თუ ჩვენი ისტორიული მიდრეკილება?“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ საქართველოს ყოფილ ელჩთან, კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძესთან

***— ქალბატონო ლანა, 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს. თუ აქვს ჩვენს საზოგადოებას ინფორმაცია, რას ნიშნავს ყოველივე ეს და რას მოგვიტანს?***

— დღეს ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ჩვენ მივეჩვიეთ ცხოვრების დინების მიყოლას. ეს კი საბჭოთა სისტემიდან მოდის, მდინარე მიდიოდა თავისი დინებით და ჩვენ, როგორც ნაფოტები, ისე მივყვებოდით. სადღაც ნაპირს მიგვახლიდა, მერე გამოვცურავდით და როგორღაც ვართმევდით თავს. ამ ტენდენციასთან პირველი შებრძოლება 9 აპრილი იყო. ზოგადად ის მოვლენები. მაშინ საზოგადოებამ ქვეყნის ბედი საკუთარ ხელში აიღო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილს ძალიან ტრაგიკული მოვლენები ახლდა თან, ბევრი უარყოფითი პროცესი მოიტანა, მიუხედავად ამისა, პრინციპულად ძალიან მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე. რადგან, ჩვენ მხოლოდ კი არ გავედით საბჭოთა კავშირიდან, როგორც უამრავი საბჭოთა რესპუბლიკა, უცებ დამოუკიდებელი აღმოჩნდა, რადგან კანონზომიერება იყო ასეთი, ისტორიული გარდაუვალობა, არამედ ჩვენ, ხალხმა, ძალიან დიდი წვლილი შევიტანეთ დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

***— საზოგადოებამ თავისი როლი გააცნობიერა?***

— დიახ, ზუსტად ასეა. ხალხმა უფრო ფართო გაგებით, საზოგადოებამ ვიწრო გაგებით და, რაც მთავარია, პიროვნებამ. ყველამ თავისი როლი ითამაშა. ჩემი აზრით, გარკვეულწილად ჩვენს მენტალიტეტში ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს წლები ასეთი მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით გავატარეთ. სამწუხაროდ, საზოგადოება თავის ხელში სადავეებს მუდმივად არ იღებს, არადა, მუდმივი ყურადღებაა საჭირო. ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია მოხდეს გააზრება, რა ხდება — ჩვენ რომ ვხდებით ევროპის წევრი, ეს ბედისწერაა? ჩვენი ისტორიული მიდრეკილებაა? ისტორიულად განსაზღვრულია, რომ ჩვენ ევროპის სრულუფლებიანი წევრი უნდა გავხდეთ. როგორც იტყვიან, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ რა როლი უნდა ითამაშოს ამაში საზოგადოებამ, პიროვნებამ? რამდენად გვაქვს ეს თითოეულ ჩვენგანს გათვითცნობიერებული? ეს არის მნიშვნელოვანი.

***— რა როლი უნდა ითამაშოს საზოგადოებამ და თავისი როლი თუ აქვს გათვითცნობიერებული?***

— სწორედ ამ როლზე უნდა ვისაუბროთ. რა არის ევროპა? ევროპა, ერთი მხრივ, არის ფასეულობები, პრინციპები და მეორე მხრივ, კეთილდღეობა. ეს ორი რამ მართლაც უდავოა, მაგრამ ფასეულობები კარგად უნდა გვქონდეს გათვითცნობიერებული. ქართული ისტორიული ფასეულობები ევროპულ ფასეულობებს ემთხვევა, ამიტომ ჩვენ ბუნებრივად შეიძლება გავხდეთ ევროპის წევრი.

***— კონკრეტულად რომ გვითხრათ?***

თავისუფლება, დემოკრატია არ არის ისეთი რამ, რომელიც სადღაც დევს და უნდა აიღო და მერე კარგად ხარ. ასე არ არის. დემოკრატია, თავისუფლება უნდა მოიპოვო, თანაც ყოველდღიურად. რაც უფრო თავისუფალი ხარ, მით მეტი საფრთხეები გიჩნდება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გავებით ყველა ხაფანგში.



**სანამ საზოგადოებაში განწყობა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ არ დაიძლევა და სანამ ყოველი ადამიანი არ ჩათვლის, რომ მეორე უფრო მნიშვნელოვანია, მანამდე ევროპელები ვერ გავხდებით**

— პირველ რიგში, ეს არის შემწყნარებლობა. უპირველეს ყოვლისა, გააზრება იმისა, რომ ადამიანები თანასწორნი არიან. ყველა ადამიანს ამქვეყნად ერთნაირი უფლებები აქვს სიცოცხლის, არსებობის, ბედნიერების. ყველა ადამიანი თანასწორია. ადამიანი ხომ ბედნიერებისთვის არის გაჩენილი. ქართველებს ისტორიულად ეს გათვითცნობიერებული გვქონდა. შემთხვევითი არ არის, რომ მუდმივად ხაზგასმით ვსაუბრობთ შემწყნარებლობაზე. მაგალითად, ბართლომეს ღამეები რომ ყოფილიყო ან ებრაელთა დარბევები, და ა.შ. ვერ ვიტყოდით, რომ ისტორიულად ეს ჩვენი გენეტიკური თვისებაა. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლაც შემწყნარებლები ვართ, მაგრამ ამ მხრივ ბევრი შევცოდეთ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ევროპელისთვის პირველი დამახასიათებელი თვისება განსხვავებულის პატივისცემაა. ამას მოსდევს პლურალიზმი, გაგება იმისა, რომ სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანები, გნებავთ პოლიტიკაში, თანაარსებობენ. განსაკუთრებით აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრებაში კომპრომისი. ამ ყველაფრის გაგება აუცილებელია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია საზოგადოებამ პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს და თან თავისი მოვალეობებიც გაათვითცნობიეროს. მოვალეობა კი არის, ყოველთვის მოსთხოვოს ხელისუფლებას, რაც თვითონ მიაჩნია სწორად. მაგალითად, კამპანია „ეს შენ გეხება“ ზუსტად ამის გამომხატველია. საზოგადოება თვლის, რომ აღარასოდეს აღარ უნდა მოხდეს, რომ ხელისუფლებას ჰქონდეს შესაძლებლობა, ადამიანებს უკანონოდ მიაყურადოს და გადაიღოს, შეიჭრას ადამიანის პირად ცხოვრებაში. ეს მოძრაობა იმას კი არ ამტკიცებს, რომ მოსმენები ხდება, არამედ ამტკიცებს იმას, რომ არასდროს აღარ უნდა იყოს ამის შესაძლებლობა. მუდმივად ფიქრი იმაზე, რომ წესიერი ხელისუფლებაა და არ მომისმენს, საკმარისი არ არის, საჭიროა საზოგადოების მუდმივად ფხიზლად ყოფნა, რათა ხელისუფლებას ჰქონდეს განცდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ამას არ დაუშვებს. საზოგადოებამ ეს გაათვითცნობიერა და ამიტომ ხელისუფლებისგან მოითხოვს, ისეთი კანონმდებლობა იყოს მიღებული, რომ მსგავსი ქმედება შეუძლებელი იყოს.

***— ისევ ევროპელობის საკითხს რომ დავუბრუნდეთ...***

— კონკრეტულ მაგალითებს მოვიყვან, მაგალითად, ევროპელობა ნიშნავს, მანქანა არ დააყენო ისე, რომ სხვას ხელი შეუშალო. ასევე ფეხით მოსიარულეს უნდა დაუთმო გზა. ცხოვრების წესია, ადამიანებმა ერთმანეთს დაუთმონ. შეუძლებელია პარიზის ქუჩაზე გადადიოდე და მანქანამ გზა არ დაგითმოს, არ გაგატაროს. ეს მართლა შეუძლებელია. ჩვენთან კი, ალბათ შეუძლებელია, რომ მანქანამ დაგითმოს და გაგატაროს. მთავარია, რომ ერთმანეთს გავუსწროთ. თუ გაიაზრებ იმას, რომ არ შეიძლება სიგნალი მისცე იქ, სადაც ეს აკრძალულია, თუ გააცნობიერებ იმას, რომ არ უნდა გაუსწრო მეორე მანქანას, როდესაც ეს აკრძალულია, სანამ საზოგადოებაში განწყობა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ არ დაიძლევა და სანამ ყოველი პიროვნება არ ჩათვლის, რომ ის ამ საზოგადოების წევრია, სანამ ყოველი ადამიანი არ ჩათვლის, რომ მეორე უფრო მნიშვნელოვანია, მანამდე ევროპელები ვერ გავხდებით. ასევე, მინდა ვისაუბრო ცელოფნის პარკებზე, რომელიც მთელ ქალაქში „დაფრინავს“. ეს ხომ ევროპის ქალაქებში წარმოუდგენელია?! ყოველი მეორე ადამიანი გამოდის ქუჩაში და ნაგავს ყრის იქ, სადაც თავად მოუნდება. ურნაში კი არ ჩააგდებს, ურნის გვერდით დადებს. ისეთი განცდა მაქვს, რომ მალე თბილისის სიმბოლოდ გადაიქცევა ხეებზე დაკიდებული და ჰაერში მოფარფატე, რატომღაც იასამნისფერი ცელოფნის პარკები. ნამდვილი ანტიევროპელობა სწორედ ეს არის. პიროვნების თავისუფლება არის ევროპელობის საფუძველი, მაგრამ ამგვარი თავისუფლება არა, სადაც მინდა, იქ დავაგდებ ნაგავს, პირიქით, ეს თავისუფლება კი არა, შეზღუდვაა. დემოკრატიის ფასეულობების მთავარი ამოსავალი სწორედ პიროვნების თავისუფლებაა, მაგრამ დემოკრატია ნიშნავს არა მხოლოდ პიროვნების თავისუფლებას, არამედ პიროვნების პასუხისმგებლობას სხვების მიმართ, საზოგადოების მიმართ. როდესაც ეს ყველაფერი იქნება გააზრებული, მაშინ მართლა ვიქნებით ღირსი, რომ ევროპის სრულფასოვანი წევრი გავხდეთ.

***— ქალბატონო ლანა, ბოლო დროს თითქოს ევროპამ, ევროპულმა ღირებულებებმა ჩვენთან დევალვირება განიცადა. კონკრეტულად რა იყო ამის მიზეზი რთული სათქმელია, ეს უკავშირდება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას თუ სხვა რამეს, მაინც როგორ ფიქრობთ, რატომ გაჩნდა ევროპის მიმართ კითხვის ნიშნები?***

— ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხზე საუბარი. ერთი მხრივ ეს არის მიზანმიმართული ტენდენცია, მეორე მხრივ კი, ინსტინქტს აყოლილი ტენდენცია, რომ ვიღაცებმა ევროპული ფასეულობები წარმოაჩინონ ევროპის სრულიად საპირისპიროდ. მცდარი შეხედულებაა, სხვა რა არის, როდესაც ჰგონიათ, რომ ევროპა გვაიძულებს ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებას. ეს აბსურდია. სხვათა შორის, არაერთგზის უთქვამთ ევროპელებს ჩვენთან საუბარში, რომ არაფერი მსგავსი არ ხდება. ეს საზოგადოების არჩევანია. არის ევროპაში საზოგადოების ნაწილი, რომელიც მიდრეკილია, რომ ეს აღიაროს, მაგრამ ზოგი არა. ეს მხოლოდ საზოგადოების ტენდენციაზე მეტყველებს და არა ევროპის პოზიციაზე. ჩვენთან იმდენად ძლიერია ტრადიციული ფასეულობები, რომ ერთსქესიანთა ქორწინებაზე საუბარი საერთოდ გამორიცხულია. ჩვენი მენტალობა სხვა საწყისებზეა აგებული. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ არც ერთი ნიშნის გამო არ უნდა დაჩაგრო მეორე ადამიანი, სხვა არაფერი. თავად კანონის სახელწოდება „ანტიდისკრიმინაციული“ გულისხმობს, რომ დისკრიმინაცია არ უნდა იყოს, მეტი არაფრის აღიარება არ ხდება ამ კანონით. ევროპელობის საფუძველთა საფუძველია, რომ არ უნდა დაჩაგრო მეორე ადამიანი, რომ ძალადობა არ უნდა გამოიყენო მეორის წინააღმდეგ. მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც სიყვარულის სავანედ ითვლება, პატივს სცემს ტრადიციულ ფრანგულ ოჯახს. აბსოლუტური კულტივირება ხდება, შეიძლება ითქვას, ამით ცხოვრობენ. ასევეა ამერიკაში. რასაც ჩვენ გარყვნილებას ვუწოდებთ, ისეთ ქვეყნებში უფროა, სადაც დიდი აკრძალვებია. ნამდვილი დემოკრატიის ქვეყნებში ზნეობრივი კანონი მუშაობს. ამაზე მახსენდება კანტი, რომელსაც აოცებდა ორი რამ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზნეობრივი კანონი, რომელიც ჩვენშია. სწორედ ეს ზნეობრივი კანონი ძალიან მაღალ დონეზეა ევროპულ ქვეყნებში. მე დღეს ევროპაში დეკადანტს ვერ ვხედავ. სხვათა შორის, იყო პერიოდი ზნეობის დეკადანსისა, მაგრამ ეს გაიარა ევროპამ და დღეს კვლავ ზნეობა წამოვიდა წინა პლანზე. ამდენად, მათ ვისაც შიში აქვს, რომ ევროპისკენ გზამ აღვირახსნილობას გაუხსნას კარი, ვეტყვი, ეს რეალობას არ ეყრდნობა, რეალობა სულ სხვაა. რეალობაა, რომ იფიქრო მეორე ადამიანზე, ანგარიში გაუწიო მეორე ადამიანს. მართალია ბევრჯერ მიწევს გამეორება, მაგრამ ეს არის ყველაფრის საწინდარი. რატომ იყო საბჭოთა კავშირი საშინელი სისტემა, მთელ ტოტალიტარულ სისტემებს შორის? იმიტომ, რომ არ აღიარებდა, შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც უმრავლესობისგან განსხვავებულად ფიქრობს. ტოტალიტარიზმს სხვაგვარად მოაზროვნე ვერ წარმოედგინა. დემოკრატია კი სხვაგვარად მოაზროვნის აღიარებაა.

***— ქალბატონო ლანა, თქვენ თქვით, დამოუკიდებლობის შემდეგ ბევრი რამ დავკარგეთო, არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა ეთნოსის, რელიგიის თანაარსებობა თითქოს ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო არ არის, დღეს თითქოს შემწყნარებლობის უნარი დაკარგა საზოგადოების რაღაც ჯგუფმა, რა შეიძლება ამის მიზეზი იყოს?***

— თავისუფლება, დემოკრატია არ არის ისეთი რამ, რომელიც სადღაც დევს და უნდა აიღო და მერე კარგად ხარ. ასე არ არის. დემოკრატია, თავისუფლება უნდა მოიპოვო, თანაც ყოველდღიურად. რაც უფრო თავისუფალი ხარ, მით მეტი საფრთხეები გიჩნდება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გავებით ყველა ხაფანგში.

***— რატომ?***

— სწორედ იმიტომ, რომ რთულია, 70 წელი ვიცხოვრეთ ისტორიიდან ამოვარდნილებმა, სადღაც მიგვაქანებდა ბედი. ტოტალიტარული აზროვნება ძალიან მარტივია. ყველაფერი გამზადებულია და მას იღებ, უფრო ზუსტად, მიჰყვები. მაგრამ რთულია, როდესაც შენ თვითონ უნდა მოიპოვო. როგორც მამარდაშვილი ამბობს: უნდა იქცე ადამიანად. ჩვენ არ ვიყავით ადამიანები, რაღაცა ჩრდილები ვიყავით. სრულიად არაფერი არ ხდებოდა ჩვენში მნიშვნელოვანი. ამას ზოგადად ვამბობ, პიროვნებები ყოველთვის იყვნენ, გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ მასა ეფემერული იყო. თავისუფლება კი ყოველწუთიერ არჩევანს ნიშნავს. არჩევანის გაკეთება კი ძალიან ძნელი აღმოჩნდა. დემოკრატია ძნელი მოსაპოვებელია, როგორც თავისუფლება, ვგულისხმობ შინაგან თავისუფლებას და რეალურიც. ჩვენ ამ გზაზე ვართ.

***— მივალთ სასურველ წერტილამდე?***

— უსათუოდ მივალთ. ამაში დარწმუნებული ვარ. ისტორიულადაც ეს გარდაუვალია. ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ქართველები ნამდვილად კრეატიულები ვართ, ამ შემოქმედებით იმპულსს კი იქითკენ მივყავართ, რომ ყველაფერი თვითონ გავიაზროთ და მზამზარეულ ცნებებს არ დავემორჩილოთ. ეს ჩვენი პერსპექტივაა და ამ პერსპექტივისკენ მივდივართ.

## მაია ფანჯიკიძე: ჰომოფობიის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ“

საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ადამიანებმა ჰომოფობიის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ. ეს განცხადება მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

„ჰომოფობიის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. ადამიანები უნდა ვიყოთ მოწოდებული იმისათვის, რომ ერთმანეთს არ ვერჩოდეთ, არ ვმტრობდეთ, ერთმანეთი გვიყვარდეს და ერთმანეთის უფლებებს ვიცავდეთ. ეს არის მთავარი და საგარეო და საშინაო კუთხე ამ საკითხს არ აქვს“ — აცხადებს მინისტრი.

**ნიუსპრესი**

# „დავით კინწურაშვილი: სკანდალები არ გვჭირდება!“



ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ხანგრძლივი ვნებათაღელვა დასრულდა. თეატრში ჩატარებულმა არჩევნებმა სამხატვრო ხელმძღვანელი გამოავლინა. ხმათა უმრავლესობით ეს თანამდებობა დავით კინწურაშვილმა დაიკავა, შესაბამის ბრძანებას კი ხელი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა უკვე მოაწერა.

35 წლის დირიჟორს საკმაოდ მრავალფეროვანი გამოცდილება აქვს. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლისას მას მიენიჭა ჯერ ბაკალავრის, ხოლო შემდეგ მაგისტრის წოდება საგუნდო დირიჟორობაში. ხელოვანმა კვალიფიკაცია აიმაღლა საორკესტრო დირიჟორობისა და ორღანის განხრით. დავით კინწურაშვილმა სხვადასხვა წლებში ჯერ მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი სკოლის საორკესტრო დირიჟორის დიპლომი მიიღო, ხოლო შემდეგ საორკესტრო დირიჟორის მაგისტრის ხარისხი. მასვე მიენიჭა მაგისტრის წოდება ლატვიის კულტურის აკადემიაში, კულტურისა და მედიის მენეჯმენტში. იგი იყო სტუმარი-სტუდენტი ჰამბურგის მუსიკისა და თეატრის უმაღლეს აკადემიაში საორკესტრო სადირიჟორო ფაკულტეტზე, ასევე ჰამბურგის კონსერვატორიაში სასწავლო პროექტის ფარგლებში მუშაობდა საორკესტრო სადირიჟორო ფაკულტეტის მუსიკალურ პროექტებზე. დავით კინწურაშვილმა სადირიჟორო მასტერკლასებიც გაიარა. მან უდირიჟორა მსოფლიოში ცნობილ არაერთ ორკესტრს. მოწვეული დირიჟორის სტატუსით იდირიჟორა თბილისის, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრებში, ასევე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტურ ორკესტრთან, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ორკესტრთან, თბილისის სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან „საქართველოს სინფონიეტა“, 21-ე საუკუნის ატომური მუსიკის კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ორკესტრთან. დავით კინწურაშვილმა ჩაატარა მასტერკლასი საორკესტრო დირიჟორობაში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, გოეთეს ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო კამერულ ორკესტრში „საქართველოს სინფონიეტა“. მისი დირიჟორობით ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში შესრულდა ჰაიდნის ორატორია „სამყაროს შექმნა“. მან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დაბადების დღისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე იდირიჟორა ჯერ თბილისის სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრთან, ხოლო შემდგომ ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან. აღსანიშნავია საგუნდო მუსიკის კონცერტები, სადაც დავით კინწურაშვილი მიუნხენის ქართულ გუნდ „იბერისთან“ ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა ევროპულ ფესტივალებში, საკონცერტო ციკლში „ქართული მუსიკის განსაკუთრებული ჟღერადობა“, იდირიჟორა კონცერტები ჰამბურგის წმიდა იაკობის სახელობის საკათედრო ტაძარში. ის თავისი კარიერის განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ესპანურ-ქართული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტი, ელიზაბეტ გასტის ხელოვნების ფონდის მუსიკალური ხელმძღვანელი მიუნხენში. ამავე ქალაქში ის ბავარიის საბავშვო და ახალგაზრდულ ფილარმონიულ ორკესტრთან და გუნდთან ერთად გეგმავდა და ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს. ჰამბურგის კონსერვატორიაში საორკესტრო დირიჟორობის ფაკულტეტზე მუშაობდა პროექტზე „ოპერა ყველა ბავშვს.“ ორგანიზებას უწევდა მუსიკალურ ფესტივალს „ჟღერა და სივრცე“ ბავარიაში, სადაც ის ახორციელებდა ფესტივალის მენეჯმენტსა და მარკეტინგს. ლატვიის კულტურის აკადემიის მხარდაჭერით, კულტურისა და მედიის მენეჯერებთან ერთად, დავით კინწურაშვილის მონაწილეობით განხორციელდა პროექტი „კულტურის მენეჯმენტი“ — „დიალოგი თბილისში კულტურის ეკონომიკისა და ჟურნალისტიკის საკითხებზე. მან ჩაატარა ლექციები თბილისის გოეთეს ინსტიტუტში, თბილისის კონსერვატორიაში. გასული წლიდან ის თბილისის კონსერვატორიის მუსიკის მენეჯმენტის ფაკულტეტზე უძღვება „მენეჯმენტის საფუძვლებისა“ და „მუსიკის მენეჯმენტის“ სალექციო კურსს.

**დავით კინწურაშვილი:**

— უამრავი მრავალფეროვანი გეგმა გვაქვს, რომელიც აუცილებლად უნდა განვახორციელოთ. ბევრი სამუშაოა, რომელიც უნდა შესრულდეს რაც შეიძლება ჩქარა და მალე, რადგან დრო აჩქარდა, თანაც მოლოდინია ძალიან დიდი, ოპერა წლების განმავლობაში იყო გარეთ და ხდებოდა მხოლოდ საკონცერტო შესრულება. ხალხი მონატრებულია ამ სფეროს, ამიტომ ჩვენც გვაწვება ეს უდიდესი პასუხისმგებლობა.

***— იყავით მზად ამხელა პასუხისმგებლობისთვის?***

— მზად ვიყავი პასუხისმგებლობისთვის წლების განმავლობაში, როცა ჩამოვდიოდი საქართველოში. 2005 წლიდან საქართველოსთან წყვეტა არ მქონია. ამ წელს, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ქართველმა დირიჟორმა, ვიდირიჟორე „აიდა“. ასე დაიწყო ჩემი აქ მოღვაწეობა. დღემდე ყველგან ვამბობ, რომ ამისთვის ძალიან მადლიერი ვარ ზაზა აზმაიფარაშვილის. მან მომცა საშუალება, დამეწყო საქართველოში მოღვაწეობა. მან ჩემში დაინახა, რომ შემეძლო ცოტა გაევროპელებულ დირიჟორს, აქ სპექტაკლები მედირიჟორა. ეს ურთიერთობა გაგრძელდა წლების განმავლობაში და ყველა სეზონზე მქონდა სპექტაკლები. რაც შეხება მეორე მხარეს, ამ პერიოდში ინტენსიურად ვაკვირდებოდი, რა ხდება, როგორი განვითარება ხდება, უცხოური გამოცდილებით, იქაური თვალით ვუყურებდი აქ განვითარებულ პროცესებს.

***— როგორია ევროპიდან დანახული ქართული საოპერო თეატრი?***

— ამ პერიოდში ჩემთვის არ იყო საკმარისი მისი განვითარება სტრატეგიულად. უფრო მეტად მინდოდა, ხარისხსა და რეპერტუარზე ყოფილიყო აქცენტი, იმიტომ რომ, ვხედავდი, როგორ მუშაობენ თეატრები ევროპაში. ყოველთვის მქონდა მცდელობა და ვახორციელებდი სხვადასხვა პროექტს არა მარტო ჩვენს ოპერასთან დაკავშირებით, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციებთანაც. ჯორჯიან სინფონიეტა იქნება თუ ჯორჯიან ნეშენალ ფილარმონიკი, ასევე კონსერვატორია, ყოველთვის მქონდა კონტაქტი, ჩამომყავდა სტუმარი, მასთან ერთად ვმუშაობდით, ან მასტერკლასებს ვატარებდით, ან გადამზადებას, ხორციელდებოდა მრავალი პროექტი. ეს იყო ჩემი გამოცდილება და ამ პუნქტების განხორციელებით ყოველთვის ვრწმუნდებოდი, რომ შესაძლებელია, აქ დიდი კოლექტივი გამართო. როცა ჰამბურგში ვიყავი, მომეცა საშუალება, მესწავლა ინტერნაციონალური კულტურის და მენეჯმენტის განხრით. სადირიჟორო გამოცდილებას დაემატა მენეჯმენტის კუთხით ცოდნა, შემდეგ უკვე სხვანაირად დავიწყე საქართველოსკენ ყურება, გავაკეთე არაერთი პროექტი ამ მიმართულებით, როგორ ხდება დაგეგმარება, როგორ უნდა იმართებოდეს ჩვენთან ფესტივალები, როგორ მუშაობენ ფონდები, ყოველთვის მაინტერესებდა, ვეკითხებოდი ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს როგორ მუშაობდნენ. რომ ვხედავდი, არ არის ეს ყველაფერი შესაბამის დონეზე, მეტი იმპულსი მეძლეოდა და მინდოდა კიდევ უფრო მეტი გამეკეთებინა აქ. ეს დაგეგმილი იყო, არ მომხდარა სპონტანურად, უბრალოდ გამოჩნდა, რომ სპონტანურად მოხდა, ორი დღით ადრე შემოვიდა საბუთები საოპერო თეატრში. ეს იყო ის სტრატეგიული გათვლა, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი.

***— სიახლეები უკვე დაგეგმილია?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია, ეტაპობრივად ჩვენი სიახლეები ისევ გაიწერება. მომზადდება რეპერტუარი, ცალკე თემაა თეატრის გახსნის ღონისძიება. ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ, რომ ახლად გახსნილი ოპერა რაც შეიძლება ჩქარა ამუშავდეს და ყველაფერმა ფორმა მიიღოს.

***— ცვლილებებს გეგმავთ?***

— ადმინისტრაციული თვალსაზრისით იგეგმება ცვლილებები, ახალი მოდელით მუშაობა, შრომითი ხელშეკრულებების დადება, შინაგანაწესისა და კონკრეტული იურიდიული საკითხების მოგვარება, ეს არის უახლოესი და შორეული გეგმები.

***— ახალ ხელმძღვანელს თავისი ხედვა, სიახლეები მოაქვს. რეორგანიზაცია რამდენად უმტკივნეულოდ ჩაივლის?***

— ჩვენ განსაკუთრებით ადმინისტრაციის მიმართულებაში გვყავს ხალხი, ვისაც დიდი გამოცდილება აქვს. ყველა ადამიანს უნდა მიეცეს შანსი ყველა რეორგანიზაციის პირობებში აჩვენონ თავისი თავი, მთელი რესურსი, რაც გაგვაჩნია, იმის გამოყენება უნდა მოხდეს. ჩვენ უნდა შევძლოთ როგორც ადმინისტრაციული, ასევე შემოქმედებითი მიმართულების მთლიანად დატვირთვა. ჩვენ თუ გავამართლებთ, მაშინ რეორგანიზაცია უმტკივნეულოდ ჩაივლის შეძლებისდაგვარად. გეთანხმებით, რომ ყველა ტიპის რეორგანიზაცია მტკივნეულია, მაგრამ განწყობილი ვარ იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობები, რაც გაგვაჩნია. შეიძლება ზოგიერთს არ ჰქონდეს ამ ეტაპზე ბევრი სამუშაო, რადგან თეატრს გარეთ ვიყავით, მაგრამ არსებობს სტრუქტურა, რომელიც რეალურად უნდა დაიხვეწოს, ამიტომ ყველას მივცემთ შანსს, რომ საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინოს.

***— რამდენად მოახერხებთ, სამხატვრო ხელმძღვანელობის პარალელურად, დადგეთ სადირიჟორო პულტთან?***

— სადირიჟორო პროფესია არ დაიჩაგრება, რადგან ყველა დირიჟორისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პოზიციაა სამხატვრო ხელმძღვანელი. ამას ჩვენ ვეძახით „გენერალ მუზიკ დირექტუარ“ უცხოეთში. სამხატვრო ხელმძღვანელი როცა დირიჟორია, ის ამ მიმართულებით არ იჩაგრება. ჩემს შემთხვევაში დასაწყისში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხალხი ჩემს მენეჯერულ თვისებებს, რა უნდა გამოსწორდეს, რა შეიძლება გაკეთდეს სტრუქტურულად, როგორ უნდა ამუშავდეს და შემდეგ უკვე გვექნება იმის დრო, რომ შემოქმედებითადაც დავკავდეთ. ამ მხრივ, ვთვლი, რომ როცა ეს ყველაფერი ამუშავდება ადმინისტრაცია გასწორდება, მერე გვექნება იმის საშუალება, რომ შემოქმედებითადაც ვიმუშაოთ.

***— რა დრო დასჭირდება ამას?***

— ვიცით, რომ უცებ ვერ დავლაგდებით, მაგრამ უცებ გასაკეთებელია კონკრეტული საკითხები, შრომითი ხელშეკრულებები, იურიდიული საკითხებია ყველაზე სწრაფად მოსაგვარებელი, რომ დავიცვათ ყველა ჩვენი თანამშრომლის უფლებები. ყველა ადამიანი, ვინც ოპერაში მოვა, უნდა იყოს ბედნიერი, განსაკუთრებით შემოქმედებით ნაწილში, რადგან ჩვენ ვემსახურებით მათ და ჩვენი მიზანია, ჩვენ მიერ შექმნილი პროდუქტი იყოს რაც შეიძლება მაღალი ხარისხის.

***— ახალგაზრდებს თუ მოიწვევთ?***

— რა თქმა უნდა. ყველა ახალგაზრდას, რომელიც ჩვენთან მოვა, მივცემთ მაქსიმალურ შანსს, რომ გავუშვათ უცხოეთში, ოღონდ არ დარჩნენ. ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს, რომ ვინც წავიდა უცხოეთში, ის საქართველოსთვის მხოლოდ და მხოლოდ კარგს აკეთებს. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად აქცენტი უნდა გაკეთდეს და ყველანაირი პირობები უნდა შევუქმნათ მომავალ თაობებს, რომ ყველაფერი აქ გაკეთდეს, მაგრამ ჩვენი ისეთი სფეროა, მარტო ნაციონალურობა ძნელია. ეს სფერო უნდა იყოს ინტერნაციონალური. ყველა მუსიკოსსა და მომღერალს უნდა მიეცეს საშუალება, არ ჩაიკეტოს ერთ სივრცეში. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათზე აქცენტი უნდა გაკეთდეს და ჩვენ გვერდით აუცილებლად უნდა იყოს ძველი თაობაც, რომ ჩვენ მათი გამოცდილება მაქსიმალურად დადებითად გამოვიყენოთ.

***— მზად ხართ, მიიღოთ რჩევები, შენიშვნები, კრიტიკა?***

— ყველაფრისთვის მზად ვარ. აუცილებლად მივიღებ კრიტიკასაც, გამოცდილებასაც, რომელიც უფროს თაობას გააჩნია, რადგან მათ იციან, აქ როგორი ვითარება იყო. ძველი მოდელებიდან ყველაფერი არ არის გადასაყრელი. ჩვენ ვერ გადმოვიღებთ ევროპულ სტრუქტურას ბრმად, ის აუცილებლად უნდა მოერგოს ქართულს, ამიტომაც ამ საკითხში უფროსი თაობის მოსაზრებებიც გასათვალისწინებელია.

***— სხვა დირიჟორებს დაუთმობთ სივრცეს?***

— ყველამ უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, რომ გვაქვს დირიჟორების პრობლემა. ამ პრობლემას ჩვენ სხვანაირად უნდა შევხედოთ. ყოველთვის მხარს ვუჭერ ახალგაზრდა დირიჟორებს და მაქსიმალურად ვცდილობ, დავეხმარო. შარშან გაზაფხულზე გავაკეთე პირველი მასტერკლასი დირიჟორების კონსერვატორიაში. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს კათედრა და ეს მასტერკლასი გაკეთდა საგუნდო დირიჟორებისთვის, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, ორკესტრთან ემუშავათ. ყველანაირად ვცდილობ, დავეხმარო ახალგაზრდა დირიჟორებს და ასევე იმ დირიჟორებს, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ და აქვთ საკმაოდ დიდი გამოცდილება. ყველას უნდა მიეცეს საშუალება, თავისი თავი წარმოაჩინოს. ამ თეატრის კარი ყველასთვის უნდა იყოს ღია. დირიჟორი ისეთი სპეციალობაა, რომ უდიდეს პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე. ის საბოლოოდ შექმნილ პროდუქტზე პასუხისმგებელია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან მაქსიმალურად მიეცეთ საშუალება დირიჟორებს, მოახერხონ თავიანთი საუკეთესო მხარეების ჩვენება და იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით კარგად ვიმუშავებთ. არიან დირიჟორები საქართველოში, ვისთანაც ძალიან კარგი საქმეების კეთება შეიძლება.

***— პოლიტიკური ნიშნით დაჩაგრულ დირიჟორებსაც გულისხმობთ?***

— პოლიტიკურად რადგანაც არანაირ მიმართულებაში არ ვიყავი ჩართული, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან მართლა არ ვიცი.

***— გოგი ჭიჭინაძე და ზაზა აზმაიფარაშვილი სწორედ ამის გამო დაისაჯნენ.***

— არ ვიცი, შეიძლება მართლა ასე მოხდა. ზაზა აზმაიფარაშვილის უზომოდ მადლიერი ვარ. ჩემთვის უდიდესი იმპულსი იყო, როცა სრულიად ახალგაზრდას მანდო „აიდას“ დირიჟორობა. კარგად მახსოვს, 18-მდე შეხვედრა მოხდა ზაზასთან მის კაბინეტში და საათობით ვსაუბრობდით. ვიყავი ძალიან ბედნიერი და ვამბობდი, რა კარგია, ჩემთვის რამდენი დრო აქვს-მეთქი. თავიდან აღელვებული ვიყავი, რომ მასთან ვიჯექი, იქიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა და ეს იყო კარგი. მან მომცა საშუალება, როგორც სტუდენტს, მედირიჟორა თბილისში. ჩვენ გვაქვს ბაზა საქართველოში, რომ დირიჟორი გაიზარდოს, მაგრამ, როცა ერთად არ მუშაობს რამდენიმე მუსიკალური კოლექტივი, იქმნება პრობლემები. კონსერვატორიას ვერ ექნება ბაზა საქართველოში, იმიტომ რომ არის სხვა პრობლემები. როდესაც სწორად მიეხედება ამ საკითხს, როცა სტუდენტს ექნება საშუალება, იმუშაოს ქართულ ორკესტრთან, ყველაფერს ეშველება. მზად ვარ, ახალგაზრდა დირიჟორებს დავუთმო დრო. დირიჟორი არ არის მარტო პროფესია, მარტო მონდომებული ადამიანი, დირიჟორს უნდა ჰქონდეს ძალიან დიდი იმპულსი, უნდა იბრძოდეს და უნდა აჩვენოს, რომ მას შეუძლია ამ პროცესების მართვა. დირიჟორი არ შეიძლება იყოს მხოლოდ კარგი მუსიკოსი. ისინი უნდა გამოჩნდნენ, უნდა ჩანდნენ, როგორი მებრძოლები არიან, რა თვისებები აქვთ, რომ ამხელა კოლექტივებს უხელმძღვანელონ.

***— ევროპაში საოპერო ხელოვნება საკმაოდ თამამი სცენებით არის დატვირთული. თქვენც აპირებთ, თუნდაც კომერციული თვალსაზრისით მიმართოთ მსგავს ხერხებს?***

— ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა საქართველოს უდიდესი საოპერო თეატრის წინაშე. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მალე გაიხსნება. ჩვენ გასათვალისწინებელი გვაქვს ქართული ტრადიცია, ქართველი ადამიანი, მისი მოთხოვნილებები, ასევე ჩვენი კულტურა, რელიგია, რადგანაც ჩვენ ხალხს უნდა შევთავაზოთ პროდუქტი, რომელიც არ გამოიწვევს სკანდალებს. ნამდვილად არ გვჭირდება ის, რაც ევროპაში ხდება, სკანდალები მართლა არ გვჭირდება, თუნდაც კომერციული თვალსაზრისით. ჩვენ როცა სიმართლეს შევთავაზებთ სცენაზე მსმენელს, ყოველთვის გავამართლებთ მათ იმედებს. ევროპაში ბოლო წლებში უკეთესი მიმართულება გაჩნდა. რამდენიმე წლის წინ იყო ასეთი მოდა, მხოლოდ სკანდალებზე აგებული სპექტაკლები იყო გამართლებული, მაგრამ ამან არ გაამართლა. ევროპაში სულ ახალი მიმართულებაა ის, რომ ხალხს უნდა ისევ „დანაფტალინებული“ სპექტაკლების ნახვა. განსაკუთრებული მაგალითებიც გვაქვს, როცა სკანდალურმა სპექტაკლებმა არ გაამართლა. ყოველ წელს ახალ სკანდალს სკანდალი ემატებოდა და ეს სკანდალებიც მობეზრდათ. ევროპაში არის მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული პროექტები, დარბაზი ყოველთვის სავსე უნდა იყოს.

***— ჩვენ როგორ გავავსებთ დარბაზს?***

— ჩვენ ძალიან ადვილად გავავსებთ დარბაზს. ჩვენთან შენარჩუნებაა ყველაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე თავიდან გავსება. საქართველოში ამ მხრივ დიდი კომფორტი გვაქვს, ქართველი ადამიანი არ არის გადატვირთული რეკლამებით, მისი მოყვანა თეატრში, ძალიან ჯანმრთელი მარკეტინგის მეთოდებითაც შეიძლება და არ დაგვჭირდება მათთვის ისეთი იარაღებით ბრძოლა, როგორც ეს უცხოეთში ხდება. თუმცა გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ ევროპული და ქართულ ტრადიციას მოვარგოთ, რომ გავამართლოთ მათი იმედი. უნდა იყოს თანამედროვე დადგმები, ხარისხიანი, ყველა ასაკზე გათვლილი, რა თქმა უნდა, საბავშვო რეპერტუარიც უნდა შეიქმნას.

***— ხშირად ხელოვანები მოსმენებს უკადრისობენ. ეს მათი დაკნინებაა?***

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"არ დამივიწყო"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.45 ქართული კინოს ვარსკვლავები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 დ/ფ "13 ასურელი მამა" 13.20 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ქართული კინოს ვარსკვლავები 16.20 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.45 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ **"მონანიება"** I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ძელი ცხოვრებისა" 23.45 ქვათახევის მონასტერი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 8.20 **თმ 11** მაესტროზე (გამ) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **"უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 13.02, 1.20,ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50 "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30,ბრძოლა წესების გარეშე 0.15, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** მაესტრო

## ხუთშაბათი 22 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 15.20 "ქართული დოკუმენტალისტიკა" –"საქართველოს რადიო" 17.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 18.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.15 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"რესტავრატორი"** 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"ობოლი"** 02.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (ოთხშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **,"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** 17.50 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ **"ბოროტების სავანე"** (მ.როდრიგესი) 02.00 მხ/ფ **"ლოს ანჯელესური ამბავი"** (ს.მარტინი)

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"არ დამივიწყო"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 ქვათახევის მონასტერი 06.45 ქართული კინოს ვარსკვლავები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "ჩვენი ფონდი" 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"მონანიება"** I სერ. 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ქართული კინოს ვარსკვლავები 16.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.35 კონცერტი -ნანა კალანდაძე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.25 მოკ./ფ. **"კედელი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დ/ფ "მანანა დოიჯაშვილი" 22.25 დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "განცხადებული სასწაულები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 13.02, 1.20,ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე. 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე/ნათია გამცემლიძესთან ერთად 23.30 ბრძოლა წესების გარეშე 0.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## პარასკევი 23 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სპექტაკლის დრო" – "ქაქუცა ჩოლოყაშვილი/ 17.00 დ/ფ "ნეფერტიტი: დედოფლის მუმიის საიდუმლო" 18.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.30 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 21.00 ტ/სერ. **"რესტავრატორი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მოკ. მხ/ფ **"ჩემი თვითმფრინავი"** 00.00 მხ/ფ **"ნახევრად პროფესიონალი"** (ვ.ჰარელსონი) 01.40 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 22.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.00 "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **,"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** 17.50 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 თოქ შოუ - რეაქცია 00.00 მხ/ფ **,,მეგობრის საქმრო"** (ჯ.კრასინსკი) ფ 02.10 მხ/ფ **,,ბოროტების სავანე"** (მ.როდრიგესი)

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"არ დამივიწყო"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 ქართული კინოს ვარსკვლავები 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "განცხადებული სასწაულები" 10.15 სახლი ღვთისა 11.30 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.10 მოკ./ფ. **"კედელი"** 13.20 დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ქართული კინოს ვარსკვლავები 16.10 კონცერტი - "აღდგომიდან ამაღლებამდე" მარინე იაშვილი 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ/ფ **"მონანიება"** II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30, 13.02, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30,ბრძოლა წესების გარეშე 0.15, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## შაბათი 24 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ან. "ტომი და ჯერი და შერლოკ ჰოლმსი" 09.30 საბ. მხ/ფ **"ალასკა"** 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "მხიარული სტარტები" 13.30 I არხი წარმოგიდგენთ – "მეხსიერება" 14.00 კალათბურთი. სუპერლიგა. ფინალური (პ/რ) 16.30 "გურმანია" 17.00 დ/ფ "რევოლუცია და მოდა" 18.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.00 "ეტალონი" 21.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხეები" 22.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი. (პ/რ ლისაბონიდან) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" (შესაძლოა დამატებითი დრო) 01.00 მხ/ფ **"მკვლელი ნინძა"**

08.00, 10.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" –– "საქართველოს მწვანეთა პარტია" (პარ. გ/ჩვ) 10.30 "ეპიცენტრი" (პარ. გ/ჩვ) 12.00 დ/ფ "ჰაბლი 3 ვ" 13.00 მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** I ნაწ. 15.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 3 ნაწ. 16.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 რაგბი – საქართველოს ჩემპიონატის ფინალი: I-II ტაიმი (პ/რ) 19.00 "უნივერსიტეტი" 19.50 მხ/ფ **"ჟოან ლუი"** 22.00 ტ/სერ. **"ლოლა, ვინ ხარ შენ ლოლა?"** 3 სერ. 23.00 მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** (ჰ.მირენი)

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 3 სერ. 08.00 მხ/ფ **"საშინლად ლამაზი"** 10.15, 16.50 TV - მარკეტი 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 14.30 ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ადრენალინი 23.40 იდენტიფიკაცია 00.00 მხ/ფ **"რევოლვერი"** (რ.ლიოტა) 02.00 მხ/ფ **"მეგობრის საქმრო"** (ჯ.კრასინსკი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 09.55 ანიმაცია 10.00 "ნანუკას შოუ" (ოთხშაბათის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი გ/ჩ 15.00 კურიერი 15.30 X - ფაქტორი (გ/ჩ) 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 22.40 ჩემპიონთა ლიგა (ფინალი) 00.40 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ.

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 ქართული კინოს ვარსკვლავები 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 11.00 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ **"მონანიება"** II სერ. 13.25 სალვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ჰაიდნი **"სემელე"** ჩეჩილია ბარტოლი 17.40 ეთნოგრაფია 18.10 მოკ./ფ. **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"** 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 დ/ფ "ექვთიმე ღვთისკაცი" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ **"გლადიატორი"** I სერ.

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი")გამ. 8.30 იუმორისტული შოუ -"4X4/ (გამ.) 9.30, 11.00, 12.50, 15.30, 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"**(გამ.) 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 1.50, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 18.30, 1.20, "უცნობი ისტორიები" 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.30, 2.45 გადაცემა "ფული და სურვილები" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, "თქვენი გადახდილია" 23.30, SV 11 მაესტროზე 0.00, 2.20 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) 0.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## კვირა 25 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 საბ/ან. "ოზი ბუ" 10.00საბ. მხ/ფ **"სურვილების ქვა"** 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქართ. მხ/ფ **"აბეზარა"** 15.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 მხ/ფ **"მედისონის ოლქის ხიდები"** (მ.სტრიპი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ჩემი წიგნი" 22.00 დოდო აბაშიძის გახსენება – ქართ. მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** 23.20 მხ/ფ **"ანგელოზსა და ეშმაკს შორის"** (ჟ.დეპარდიე) 01.20 "სამოთხის ვაშლები" 02.20 "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ) 02.50 "ტელებლოგი" (გ/ჩვ) 03.30 დ/ფ "რევოლუცია და მოდა"

08.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 3 ნაწილი (შაბ. გ/ჩვ) 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ **"ფეხსაცმელი და ვარდი-კონკიას ამბავი"** 11.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ტიბეტის ძველი სამეფო" 12.00 მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** II ნაწ. 13.35 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "თურქეთი" კაბადოკიის დაკარგული მიწები" 14.00 კალათბურთი – საქართველოს სუპერლიგა" ფინალის მესამე შეხვედრა (პ/რ) 16.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ეგვიპტე" 16.30 მხ/ფ **"ტაქსისტი"** 18.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 3 ნაწ. /ფ. დიკი/ 19.30 მხ/ფ **"მზის იმპერია"** 22.00 ტ/სერ. **"ლოლა, ვინ ხარ შენ ლოლა?"** 4 სერ. 23.00 მხ/ფ **"მაგარი პოლიციელები"** (ბ.უილისი)

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 4 სერ. 08.00 მხ/ფ **"102 დალმატინელი"** 10.10 ადრენალინი (გ/ჩ) 10.50, 16.50 TV - მარკეტი 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"მერლინი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.30 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 პანორამა. 21.00 ღამის შოუ 22.00 დოკ/ფ. "ლევილი" 22.30 მხ/ფ **"ძლიერი წვიმა"** (მ.დრაივერი) 00.15 მხ/ფ **"მტრის საწოლში"** (პ.ბერჯინი) 02.00 მხ/ფ **"ძაღლური ცხოვრება"** (ტიტ.)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.25 ანიმაცია 10.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე (18 მაისის გ/ჩ) 14.00 ეკი ვოკი 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 კომედი შოუ 01.00, მხ/ფ.

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 თბილისის ტაძრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"ლომა,დავიწყებული მეგობარი"** 13.20 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" 00.30 პორტრეტები 01.30 მხ/ფ **"გლადიატორი"** II სერ.

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00 "უცნობი ისტორიები"(გამ.) 8.20 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) 8.45 "თქვენი გადახდილია"(გამ.) 9.15 SV 11 მაესტროზე (გამ.) 9.45, 11.00, 13.15, 15.30, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი". 11.55, 14.55, 17.55, 2.50, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო. 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 13.00 გადაცემა "ურბანსპორტი" 18.30, 2.20 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი პ/ე 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, იუმორისტული შოუ -"4X4" 23.45, "აბების" კვირის ანეკდოტები (კოლაჟი) გამ. 0.00, **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 1.20, ვახო სანაიას რეპორტაჟი (გამ.)

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# დონბასი: მოსახლეობა სეპარატისტების წინააღმდეგ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მებით, აქციაში მონაწილეთა რაოდენობა 15 ათასს არ აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, ძალოვანთა პარალიზების (ზოგი მათგანის ღალატის) პირობებში მათ დონეცკის საოლქო საბჭოს შენობაზე რუსული დროშა აღმართეს. შემდეგ ეს პროცესი დონეცკისა და ლუგანსკის სხვა ქალაქებზეც გავრცელდა. ადგილობრივი სეპარატისტების დასახმარებლად რუსეთიდან დივერსიული ჯგუფები გადმოისროლეს. საოცარია, მაგრამ ამ კბილებამდე შეიარაღებულმა ჯგუფებმა (მათ შეიარაღებაში იყო ავტომატები, ტყვიამფრქვევები, საზენიტო დანადგარები) რუსეთ-უკრაინის საზღვარი ყოველგვარი პრობლემის გარეშე გადაკვეთეს. სახელმწიფო დაწესებულებების შტურმს რუსი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. როგორც ცნობილია, მათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს დონეცკისა და ლუგანსკის რაიონების უშიშროებისა თუ მილიციის შენობები. შედეგად მათი არსენალიც შეივსო.

— დღეს ზოგიერთი ჭკუის კოლოფი გვაყვედრის, ადგილობრივი მოსახლეობა პასიურია და დივერსანტებს წინააღმდეგობას არ უწევსო. გეკითხებით, შიშველი ხელებით კბილებამდე შეიარაღებულ ბანდიტებს როგორ ვებრძოლოთ?! — განუცხადა უკრაინის ტელევიზიის მე-5 არხის კორესპონდენტს სლავიანსკში მცხოვრებმა ვიქტორ პროკოპენკომ.

სამწუხაროდ, უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ მოსკოვის აგრესიას ვერაფერი დაუპირისპირა. მეტიც, ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებმაც დაიწყეს მტკიცება, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელია და არსებულ ვითარებაში უკრაინა ფედერალიზაციაზე უნდა დათანხმდეს, რადგან დასავლეთი პუტინს ვერ შეაჩერებსო. ამიტომ, თუკი ქვეყნის გადარჩენა გვინდა, ფედერალიზაციაზე დავთანხმდეთ, რაც მოსკოვს დაამშვიდებს და საშუალებას მოგვცემს დემოკრატიული რეფორმები გავატაროთო. უკრაინელი ხალხი ამას კატეგორიულად არ დაეთანხმა.

— მთელი უკრაინის მასშტაბით თავდაცვის რაზმებისა თუ სახალხო ლაშქრის ფორმირება დაიწყო. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ბატალიონი „დონბასი“ ერთ-ერთი ასეთი ფორმირებაა. მისი შექმნა მემარჯვენე სექტორის ინიციატივით მოხდა. ბატალიონი მთლიანად დონბასის მცხოვრებლებით დაკომპლექტდა. უმრავლესობა მათგანის მშობლიურ ენა რუსულია.

— თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ უკრაინის პატრიოტები არა ვართ! — აცხადებენ ბატალიონის მებრძოლები.

თავიანთი პატრიოტიზმი მათ საქმით დაამტკიცეს. „დონბასის“ მებრძოლები მზად არიან, უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის იარაღით ხელში იბრძოლონ.

— სეპარატისტები იქადნებოდნენ, ჩვენს უკან პუტინი დგას, თუკი წინააღმდეგობას გაგვიწევთ, რუსულ არმიას შემოვიყვანთ და ყველას ამოგჟუჟავთო! ამაზე ვუპასუხეთ: რუსულ არმიას საკადრისად დავხვდებით, მისი ჯარისკაცების უმრავლესობასაც აქედან ცინკის კუბოთი წაასვენებენ. — აცხადებენ ბატალიონის მებრძოლები.

### პირველი ოპერაცია

ველიკონოვოსელოვკაში ჩატარებული აქცია ბატალიონ „დონბასის“ პირველი სერიოზული ოპერაცია გახლდათ. ის ადგილობრივ სახალხო ლაშქართან ერთად ჩატარდა. ბატალიონის მეთაურ სიმონ სემენჩენკოს ცნობით, საამისოდ რაიონში შექმნილმა კატასტროფულმა ვითარებამ უბიძგა.

— რაიონში მთელს ძალაუფლებას სეპარატისტები დაეპატრონნენ. ადგილობრივი მილიციის უფროსი მათ მხარეს გადავიდა. მილიციელთა ნაწილმა „დონეცკის რესპუბლიკის“ ერთგულებაზე ფიცი დადო, მეორე ნაწილი დაიმალა. შედეგად სეპარატისტებმა სახელმწიფო დაწესებულებები დაიკავეს, იქიდან უკრაინული დროშები ჩამოხსნეს და მათ ნაცვლად რუსული ბაირაღები ჩამოკიდეს. — განუცხადა ჟურნალისტებს ბატალიონ „დონბასის“ მეთაურმა სიმონ სემენჩენკომ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ (ის მთლიანად კომუნისტებითა და რეგიონალებითაა დაკომპლექტებული) ტერორისტებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. რაისაბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც კრიმინალურ სამყაროში ცნობილია მეტსახელით „შნირა“, მოსახლეობას სიტყვით მიმართა. „დონეცკის რესპუბლიკის“ შექმნა მან „ხალხის ნებად“ შეაფასა, აქაოდა, რეფერენდუმზე მოსახლეობამ მას მხარი დაუჭირაო. „შნირა“ სასტიკი რეპრესიებით დაემუქრა ყველას, ვინც „კიევის ხუნტას“ მხარს დაუჭერდა.

— ამისთანებს სახალხოდ ჩამოვახრჩობთ! — განაცხადა მან.

აღშფოთებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. პასუხად „შნირამ“ მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტა ბრძანა. მოსახლეობის დასაცავად ხმა ადგილობრივმა სახალხო ლაშქარმა აიმაღლა. ბატალიონ „დონბასის“ დახმარებით ტერორისტებს საკადრისი პასუხი გასცეს.

— ხანმოკლე შეხლა-შემოხლის შედეგად ტერორისტებმა თავს გაქცევით უშველეს. — ამბობს სემენჩენკო.

სახელმწიფო შენობებზე კვლავ უკრაინული დროშები აღიმართა. „შნირა“ და მისი ბანდა ხალხმა სამარცხვინოდ გააძევა. მათთან ერთად რაიონი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დატოვეს. მილიციის უფროსიც გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა.




— ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები, რომლებიც სეპარატისტებს მიემხრნენ, თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. ყველა მათგანს სატაბელო იარაღი ჩამოერთვა. — განუცხადა ჟურნალისტებს სემენჩენკომ.

ამრიგად, მთელს რაიონში უკრაინული ხელისუფლება აღდგა. ახლა წესრიგის დაცვას ადგილობრივი სახალხო ლაშქრის მებრძოლები უზრუნველყოფენ.

### ტერორისტები უკან იხევენ

ველიკონოვოსელოვკაში ჩატარებულმა ოპერაციამ სეპარატისტების რისხვა გამოიწვია. „დონეცკის რესპუბლიკის“ მთავრობამ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია:

— ნოვოსელოვკის რაიონში დასავლეთ უკრაინიდან გადმოსული ბანდა შემოიჭრა. მათ ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურები დაამხეს და მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. აღმოსავლეთ უკრაინის შეიარაღებული ძალებიც იწყებენ ოპერაციას, რათა რაიონი ნაცისტი-ტერორისტებისაგან გაწმინდონ.

16 მაისს ნოვოსელოვკას „აღმოსავლეთი უკრაინის არმიის“ წარმომადგენლები მართლაც მოადგნენ. თვითმხილველთა ცნობით, მათი ოდენობა 400 მებრძოლს არ აღემატებოდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ და ბატალიონმა „დონბასმა“ დაუპატიჟებელ სტუმრებს მართლაც ღირსეული დახვედრა მოუწყო. ხანმოკლე სროლის შემდეგ ტერორისტები უკუიქცნენ. ათი მათგანი ბრძოლისას მოკლეს, ოცდაათამდე კი „დონბასის“ მებრძოლებმა ტყვედ აიყვანეს.

— ჩვენს მებრძოლებს შორის დანაკარგი არ არის. — ამბობს სემენჩენკო.

ზარალი, რომელიც სეპარატისტებმა განიცადეს, მართლაც საგრძნობია. „დონეცკის რესპუბლიკის“ ზოგიერთმა ლიდერმა საჯარო განცხადება გააკეთა და პუტინს თხოვნით მიმართა, დონბასი რსფსრ-ს შემადგენლობაში მიეღო.

— ეს ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის სურვილია. — აცხადებს დონეცკის ოლქის თვითმარქვია გუბერნატორი პავლე გუბარევი.

სეპარატისტების შეშფოთება იზრდება, რადგანაც მოსახლეობა მათ წინააღმდეგ სულ უფრო აქტიურად გამოდის. ბატალიონი „დონბასიც“ დონეცკზე გალაშქრებისათვის ემზადება.

### კარაჩუნის მთაზე უკრაინული დროშა აღიმართა

15 მაისს „დონეცკის რესპუბლიკის მთავრობამ“ უკრაინის ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და 24 საათის განმავლობაში დონბასიდან მთელი უკრაინული კონტინგენტის გაყვანა მოითხოვა.

— ვადის გასვლის შემდეგ ჩვენ ოკუპანტების განადგურებას ვიწყებთ. — ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინელებმა ამ ულტიმატუმს კონტრტერორისტული ოპერაციების გააქტიურებით უპასუხეს. კრამატორსკის მახლობლად მთლიანად განადგურებულ იქნა ბანდა, რომელიც 14 მაისს უკრაინელ მედესანტეებს თავს დაესხა. ცხარე ბრძოლები 15-16 მაისსაც გაგრძელდა.

— სეპარატისტებმა უდიდესი დანაკარგი განიცადეს. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ტურჩინოვმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ კრამატორსკი, ფაქტიურად, უკვე უკრაინელი ძალოვნების კონტროლქვეშაა. სეპარატისტები მხოლოდ ქალაქის ცენტრში არიან გამაგრებული. რაც შეეხება სლავიანკს, იქაური ტელეანძის გარშემო უსაფრთხოების ზონა გაფართოვდა.

— ანძის მახლობლად მდებარე ტერიტორია ტერორისტებისაგან გაწმენდილია. — აღნიშნა ტურჩინოვმა.

მართლაც, კარაჩუნის მთაზე, სადაც ტელეანძაა განთავსებული, უკრაინული ეროვნული დროშა აღიმართა. მიუხედავად ამისა, უკრაინელი სამხედროები ქალაქის დაკავებას არ ჩქარობენ.

— ეს მშვიდობიან მოსახლეობაში დიდ მსხვერპლს გამოიწვევს. — აცხადებს უკრაინის თავდაცვის მინისტრი.

### რუსეთი უკრაინაში შეჭრისათვის ემზადება

როგორც დასავლელი, ისე უკრაინელი ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვართან კვლავაც 40000-იანი სამხედრო კონტინგენტია დისლოცირებული. უკრაინელი ჟურნალისტის დმიტრი ტიმჩუკის ცნობით, 16 მაისს რუსულ ქვეგანაყოფებში საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა.

— მათ უკვე მიიღეს ბრძანება, რათა უკრაინაში „სამშვიდობო მისიისათვის“ მოემზადონ. — ამბობს ტიმჩუკი.

რუსული არმიის უკრაინაში შეჭრის საფრთხეს რეალობად მიიჩნევს ცნობილი რუსი პოლიტოლოგი ბოროვოიც. რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში მან აღნიშნა, რომ პუტინისეულმა გათვლამ უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რაიონებში მასობრივი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ არ გაამართლა. მეტიც, უკრაინამ საკმაოდ მოკლე ხანში შეძლო როგორც პარალიზებული უშიშროების მეტ-ნაკლებად ფეხზე წამოყენება, ასევე ბრძოლისუნარიანი სამხედრო ფორმირებების შექმნაც. შედეგად დონბასიდან რუსული დივერსიული ჯგუფების განდევნის პროცესი დაიწყო.

— ახლა პუტინს გამოსავალი აღარ დარჩა. თუკი უკრაინაში შეჭრაზე უარს განაცხადებს, რუსეთს უდიდესი პრობლემები შეექმნება. — ამბობს ბოროვოი.

უკრაინაში რუსული არმიის შეჭრის საფრთხეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიკორსკიც რეალობად მიიჩნევს. კარაკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან საუბარში მან განაცხადა:

— თუკი დასავლეთმა რუსეთის შეჩერება ვერ შეძლო, პუტინი არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაციას მოახდენს!

ამ განცხადებას დასავლეთში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ზოგი ექსპერტი თვლის, რომ რუსეთის მიმართ სანქციები უნდა გამკაცრდეს და ეს „გაზპრომზეც“ უნდა გავრცელდეს. სხვები ამას არ ეთანხმებიან. ბოლოს ევროპამ ამ ეტაპზე „გაზპრომის“ წინააღმდეგ სანქციებისაგან თავი შეიკავა. დასავლეთს თავისი პოზიცია ჯერ არ გამოუკვეთია. უკრაინის საზღვართან კი რუსული სამხედრო კონტინგენტის კონცენტრაცია გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

# მაშველებმა ინდოეთის მოქალაქე გადაარჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მეექვსე ქვეგანყოფილების მაშველებმა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში, ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, ხევში ჩავარდნილი ინდოეთის მოქალაქე სამევი ვიქარულ ისლამი გადაარჩინეს. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შეტყობინება იმის შესახებ შევიდა, რომ დაბა სტეფანწმინდაში, პარაპლანით ფრენისას, ინდოელი ტურისტი ერთ-ერთ ხეობაში, მთის ფერდობზე ჩამოვარდა და მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ყაზბეგის სამორიგეო განყოფილების სამაშველო ჯგუფი შეტყობინების შემთხვევის ადგილზე მიღებისთანავე გავიდა. ინდოეთის მოქალაქის აღმოჩენის შემდეგ გაირკვა, რომ სამევი ვიქარულ ისლამის ფეხი ჰქონდა მოტეხილი.

მაშველებმა მას პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე გაუწიეს და საკაცით, ხეობიდან სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტომანქანამდე ჩამოიყვანეს. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ იგი რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. ამ დროისთვის სამევი ვიქარულ ისლამის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

**ნიუსპრესი**

## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლჵ,ჵ,ბ



### ბიქტორ (ბადრი) შავდიას გახსენება

გავიდა შენი გარდაცვალებიდან 1 წელი. შენმა წასვლამ გული ძლიერ გვატკინა, როგორც შენი ოჯახის წევრებს, ასევე შენს ახლობლებს. მე უშენობას ძალიან განვიცდი. მართალია, გვერდში მყავანან შენი შვილები, თავიანთი ოჯახებით, მაგრამ შენ სულ სხვა ყოფილხარ. ვცდილობთ, ყველაფერი ლამაზად გავაკეთოთ, რომ შენმა სულმა სასუფეველი დაიმკვიდროს. ჩვენ არასდროს დაგივიწყებთ. იძინე ტკბილად. 24 ივნისს 75 წლის გახდებოდი და უშენოდ შევხვდებით შენს საფლავზე, დავანთებთ 75 სანთელს.

*დოდო, ანდრია, ლაშა, ეკა, თიკა, ლადო, გია*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს უმაღლესი საბჭოს აპარატის დეპარტამენტის უფროსს ზურაბ გახარიას დის

**ელეონორა გახარია-შამათავას**

გარდაცვალების გამო.

შვილები იურა, თემური, შვილიშვილები სოფიო, ელენე, და იზო, ძმები ლავრენტი, ნოშრევანი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ივანე (ცაკა) ილიას ძე მელაძე**

პანაშვიდი: 17 მაისს, 18 საათზე.
დაკრძალვა: 18 მაისს, 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, თემქა, X კვარტალი, 37-ე კორპუსი.

## h}χყջχ}ლბ ,

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ველური ვაზი; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. აგარაკი თბილისის მახლობლად; 11. უდანოში მზარდი დაბალი ხე, ბუჩქი; 12. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; 13. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 21. ირლანდიელ მწერალ ჯოისის რომანი; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 6. ორკორპუსიანი გემი; 7. ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 8. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 9. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ქალის სასიმღერო ხმა; 22. პატარა სამკუთხა ალამი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 26. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## ობყფ ყχვც}იბ უფვχმჲც.ყც,ეჯბ h}χყჲχ}ლც,ბც გფცე[ც,ბ5

### კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფიტარეთი; 2. ალუბალი; 3. „შკოდა“; 4. კაშხალი; 5. „არაბიკა“; 10. მასანდრა; 11. რეპორტიორი; 12. ბედუინი; 15. ამაშუკელი; 16. ბრინჯი; 17. შუანაკო; 20. პონტო.

თარაზულად: 6. ღივილისტიკა; 7. „კაბერნე“; 8. სტანიცა; 9. ლეკალო; 13. ყავა; 14. სენსეი; 18. თურმანიძე; 19. „გუელი“; 21. ჭონია; 22. დიროლი; 23. „ნოვარტისი“; 24. ბეისბოლი.

### კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბანკნოტი; 2. ნირვანა; 3. სმოგი; 4. ქუვეიტი; 5. ვივიენი; 10. ჩინეჩიტა; 11. „მუჯურეთული“; 12. აზბესტი; 15. კაბალიერო; 16. „ჰაიატი“; 17. რევანში; 20. დუომო.

თარაზულად: 6. კარდიოგრამა; 7. კუბრიკი; 8. ბაიყუში; 9. ვოლანი; 13. ბიტი; 14. კუვეზი; 13. ლელობურთი; 19. პეპსი; 21. ზურნა; 22. სინუსი; 22. აინშტაინი; 24. ტრომბონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17
maisi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1.7588 | ევრო — 2.4108 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9497 | 100 რუსული რუბლი — 5.0673 |

## ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის




# 20 მაისიდან

## „ახალ თაობასთან“ ერთად

## ვინ მოკლა ინსპექტორი

## მეორე ნაწილი

## ქართული დეტექტივი ტომი VII

# როინ კვასხვაძე: „ბაბუის გენები გადმომყვა“

გულშემატკივართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ძველი დროიდან მოყოლებული, ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარის რგოლში არ უჭირს. ეს საკითხი ჩვენს გუნდში დღესაც წესრიგშია, რაც 24 წლის როინ კვასხვაძის დამსახურებაა.

პირველნომრიანი მაისურის მფლობელს მისი ბაბუის, ასევე როინ კვასხვაძის, გენები გამოჰყვა. ბაბუის, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ასპარეზობით „ტორპედოს“ ყველა დროის ერთ-ერთი სახელოვანი მეკარე (კაპიტანიც) გახლდათ. მართლაც, განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა კლუბის ისტორიაში ასეთი წარმატებული მეკარის ადგილს წლების შემდეგ მისი შვილიშვილი, იმავე სახელისა და გვარის მქონე, იკავებს და ამ ძალზე საპასუხისმგებლო საქმის კეთებას კარგადაც აგრძელებს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე





# კალაძის სამმა მოადგილემ გასულ წელს 186 ათასი ლარის ოდენობის პრემია აიღო

გასულ წელს 14 სამინისტროს თანამდებობის პირებზე პრემიის სახით 5 729 131 ლარია გაცემული, ხოლო სახელფასო დანამატის სახით 3 135 038 ლარი. ამის შესახებ მონაცემებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ავცრელებს.

მოცემულ პერიოდში, ენერგეტიკის მინისტრის სამ მოადგილეზე პრემიის სახით 186 080 ლარია გაცემული, მაშინ როდესაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ოთხი მოადგილის 2013 წელს პრემიის სახით მიღებულმა შემოსავალმა მხოლოდ 22 220 ლარი შეადგინა .

ორგანიზაციის ინფორმაციითვე, 10 ყველაზე დიდი ფულადი წახალისებით პრემირებულ მინისტრის მოადგილეებს შორის ოთხი იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სამი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ორი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე და ერთიც თავდაცვის მინისტრის მოადგილეა. 2013 წლის მარტის თვის შემდგომ , მინისტრების მიერ პრემიის მიღების ფაქტს ადგილი აღარ ჰქონია.

ნიუსპრესი

# ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში შსს-ს სპორტულ კლუბ MIA FORCE“-ის ავტომრბოლელები სტუდენტებს შეხვდნენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორი ზურაბ ზუბადალაშვილი, შსს-ს სპორტულ კლუბ „MIA FORCE“-ის სპორტსმენები დათა ქაჯაია, კონსტანტინე კოლიაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, სხვა ქართველი მრბოლელები და საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მევლუდ მელაძე, რუსთავის ავტოდრომზე თბილისის ღია უნივერსტეტის სტუდენტებს შეხვდნენ.

შეხვედრა შსს-ს მიერ დაწყებული ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც ავტომრბოლელებიც შეუერთდნენ. ღონისძიებაზე სპორტსმენებმა ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე, ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარებისგან გამოწვეულ პრობლემებსა და ანტინარკოტიკული კამპანიის მიზანზე ისაუბრეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, მათ სტუდენტებს ასევე გააცნეს, კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ძალაში 1 მაისიდან შევიდა. კანონის მიხედვით, აიკრძალა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანა ან უკანონოდ გატანა, ხოლო ყველა ზემოთჩამოთვლილი ქმედება სისხლის სამართლის წესით ისჯება.

ნიუსპრესი

## h3xცჲx3ლბ ფ

**შვეულად:** 1. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 2. ბალახზე, ფოთოლზე შეყინული ორთქლი; 3. აშშ-ს პრეზიდენტი; 4. ვაჟა-ფშაველას მშობლიური სოფელი; 5. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 10. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 11. ბაბილონის დედოფალი; 12. გზის საფარი; 15. კათოლიკური ეკლესიის მცველი; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 17. ვენეციური ნავი; 20. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი.

**თარაზულად:** 6. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 7. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი, იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 9. უხმო სიცილი; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 18. კვირის ერთ-ერთი დღე; 19. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 21. მონღოლი მწყემსი; 22. მთიანეთი შუა-აზიაში; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. სახარატო ჩარხის მთავარი მბრუნავი ლილვი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# საქართველოსა და აზერბაიჯანის მაშველები ერთობლივ წვრთნებს გაივლიან

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების მინისტრს ქემალედინ ჰეიდაროვს შეხვდა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. შეხვედრაზე ორი ქვეყნის სამაშველო დანაყოფების ერთობლივი წვრთნებიც დაიგეგმა.

ალექსანდრე ჭიკაიძემ გაბალის რეგიონში საგანგებო სიტუაციების ბაზა დაათვალიერა და მისი მუშაობის სპეციფიკას გაეცნო.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრები გამართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან, შინაგან საქმეთა მინისტრ რამილ უსუბოვთან და სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის უფროს ელჩინ გულიევთან. შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დასრულდა.

ნიუსპრესი

## fcnhjghjuyjpb

### 17 მაისი _ ნაhმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ლომი** — ყველა საქმე გამოგდით, რასაც ხელს მოჰკიდებთ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმეები კარგად მიდის, არ ელოდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — დაისვენეთ, გაერთეთ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** — დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თევზები** — წარმატებული დღეა, იაქტიურეთ.

უბცე3ჲტ,ს ,ტღყბტ3 ღქტს=

### 18 მაისი _ შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **კურო** — უჩვეულო დღეა, ცხოვრების შეცვლა გინდათ. **ტყუპები** — კითხვები გაწუხებთ, მალე ყველაფერს გაიგებთ. **კირჩხიბი** — მეგობრებისგან ახალ ამბებს გაიგებთ. **ლომი** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, გახარებული ხართ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, აკონტროლეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. **ღრიანკალი** — ახლობლები სიურპრიზს გიმზადებენ. **მშვილდოსანი** — ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. **თხის რქა** — ყველა საქმეს ბილომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** — ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, პრობლემა დაგავიწყდებათ.


